პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1976 პარასკევი 10 სექტემბერი № 213 (16643) ფასი 2 კაპ. 1976

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „სოფლის მეურნეობის მეცნიერების ეფექტიანობის შემდგომი ამაღლებისა და წარმოებასთან მისი კავშირის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ“

დადგენილებაში ნათქვამია, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებისა და სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახული ამოცანების შესაბამისად თანამედროვე ინდუსტრიულ საფუძველზე მისი გადაყვანის დაჩქარებაში სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება მეცნიერებას.

ჩვენს ქვეყანაში შექმნილია სასოფლო-სამეურნეო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, საცდელი სადგურებისა და სხვა სამეცნიერო დაწესებულებების ფართო ქსელი. მეცნიერთა კოლექტივები მნიშვნელოვან მუშაობას ეწევიან სასოფლო-სამეურნეო კულტურების ახალი უხვმოსავლიანი ჯიშებისა და ჰიბრიდების სელექციისათვის, პირუტყვისა და ფრინველის ჯიშების, ხაზებისა და ჰიბრიდების შექმნის და სრულყოფისათვის. მუშავდება და ინერგება ახალი მანქანები და პროგრესული ტექნოლოგიები, მცენარეთა და ცხოველთა დაავადებებთან ბრძოლის უფრო ეფექტიანი მეთოდები.

მაგრამ სოფლის მეურნეობის მეცნიერების განვითარება ჯერ კიდევ ვერ შეესაბამება სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ამაღლების გაზრდილ მოთხოვნებს. ჯერჯერობით არ არის განვითარებული კვლევა წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის, სამეურნეო-ბუმორიული კოპერირებისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის, მართვის ორგანიზაციული ფორმების სრულყოფის დარგში.

ჩამორჩება სამუშაოები, რომ გამოიყენონ ახალი, ინტენსიური მაღალმწარმოებელი წარმოების მოთხოვნების შესაბამისი სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშები, განსაკუთრებით უფრესად ზამთარგამძლე საშემოდგომო ჯიშები, ჩაწოლისა და დაავადებისადმი გამძლე სავაზაფხულო მარცვლოვანთა უხვმოსავლიანი ჯიშები, ცილის უხვადშემცველი სამარცვლე-პარკოსანი და საკვები კულტურები. აგრეთვე სარწყავ მიწებზე სთესს სასოფლო-სამეურნეო კულტურები. ნელა მუშავდება მეცხოველეობის სამრეწველო საფუძველზე გადაყვანის, მისი პროდუქტიულობის ამაღლების, მტაცეს საკვები ბაზის შექმნის პრობლემები. სათანადოდ არ მიმდინარეობს დიდმწარმოებლური სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და მოწყობილობის, მიწამოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების უფრო ეფექტიანი ტექნოლოგიების შექმნის სამუშაოები.

ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობა ბევრი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების, რომელიც უზრუნველყოფს მეცნიერული კვლევის წარმოებას თანამედროვე დონეზე.

არსებითი ნაკლოვანებებია სამეცნიერო-საკვლევ სამუშაოთა დაგეგმვისა და კოორდინაციაში, რაც იწვევს მათს დუბლირებას, სამეცნიერო დაწესებულებების ძალებისა და საშუალებების დაქსაქსვას, პრობლემის გადაჭრის ვადების გაჭიანურებას. ცალკეული ზონალური და დარგობრივი ტექნოლოგიური და საპროექტო-ტექნოლოგიური ინსტიტუტები, რომლებიც მეცნიერებისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების უშუალო კავშირს უზრუნველყოფდნენ, არ უწევენ ჯეროვან დახმარებას კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს მათი მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებაში.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია არ იღებენ ქმედით ზომებს, რათა მეცნიერთა ძალებს თავი მოუყარონ სოფლის მეურნეობის დარგის დიდი თეორიული და გამოყენებითი ხასიათის პრობლემების ერთობლივი შემუშავებისათვის. სუსტად გამოიყენება საკვლევ მუშაობაში უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლების პროფესორ მასწავლებლთა შემადგენლობა.

სერიოზული ნაკლოვანებებია მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დანერგვის ორგანიზაციის საქმეში, ბევრი მნიშვნელოვანი მეცნიერული ნაშუშევარი და რეკომენდაცია დიდხანს ვერ პოულობს ხოლმე ფართო გამოყენებას წარმოებაში.

სამინისტროები და უწყებები, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები ჯერ კიდევ საკმარისად არ მუშაობენ სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების შერჩევის, განაწილების, აღზრდისა და ახალგაზრდა ნიჭიერ მეცნიერთა დაწინაურების საკითხებზე.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, „საკსოფლტექნიკას“, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერების და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს, მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებსა და მინისტრთა საბჭოებს, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტებს, სამხარეო და საოლქო აღმასკომებს დაავალეს გააუმჯობესონ სასოფლო-სამეურნეო, სამეცნიერო დაწესებულებებისა და უმაღლეს სასწავლებელთა სამეცნიერო-კვლევითი ქვეგანაყოფებისადმი ხელმძღვანელობა, აამაღლონ მეცნიერების როლი სოფლის მეურნეობის იმ ძირითადი ამოცანების გადაჭრაში, რომ უზრუნველყოთ მარცვლეულისა და სხვა პროდუქციის წარმოების შემდგომი ზრდა და სტაბილურობა, შეკმნათ გარანტირებული მოსავლის ზონები, ყოველი ღონისძიებით ავამაღლოთ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ეფექტიანობა, სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხარისხი.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიას, მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიებსა და საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას დაევალათ განახორციელონ ერთობლივი კვლევის პროგრამები მოლეკულური ბიოლოგიის, გენეტიკის, ფიზიოლოგიის, ბიოქიმიისა და მეცნარეთა და ცხოველთა ბუნების შემსწავლელ სხვა ფუნდამენტურ მეცნიერებათა დარგში, აგრეთვე ბუნების დაცვის, მიწის და წყლის რესურსების რაციონალური გამოყენების, ნიადაგების ნაყოფიერების გაფართოებისა და ეროზიისაგან დაცვის საკითხებზე.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, „საკსოფლტექნიკას“, საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს ენიშნებოდა მიეცათ სამეცნიერო კოლექტივების მეცადინეობა წარმართონ იმისათვის, რომ მეალე ხუთწლედში განახორციელონ საცალეცონ-საკვლევი სამუშაოები სოფლის მეურნეობის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ძირითადი მიმართულებებით.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკა-ორგანიზაციის დარგში შეიმუშაონ და ეკონომიურად დაასაბუთონ სამეურნეოთაშორისო კოოპერირებისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის რაციონალური ფორმები, სპეციალიზებული წარმოების კონცენტრაციის ოპტიმალური დონეები, აგროსამრეწველო კომპლექსის სხვა დარგებთან შეხამებით სოფლის მეურნეობის ეგგმაზომიერი და პროპორციული განვითარების ძირითადი მიმართულებანი.

სრულყონ სოფლის მეურნეობის გაძღოლის სისტემები წარმოების სპეციალიზაციის გაღრმავებისა და კონცენტრაციის ამაღლების პირობებში ქვეყნის სხვადასხვა ბუნებრივი და ეკონომიური ზონის მიხედვით. შეიმუშაონ ღონისძიებანი, რათა დაიხვეწოს წარმოების ეკონომიური სტიმულირების მეთოდები, გაწონასწორდეს მეურნეობრობის ეკონომიური პირობები, დაჩქარდეს შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპი, გაუმჯობესდეს ფასწარმოებისა და სამეურნეოთაშორისო ურთიერთობის საქმე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სამეურნეოთაშორისო და აგროსამრეწველო გაერთიანებებში.

მემცენარეობის დარგში უზრუნველყონ, რომ გამოყენილ იქნეს (სახელმწიფო ჯიშთგამოცდაზე გადაცემით), ზამთარგამძლე, მოკლეღეროიანი, ჩაწოლისადმი გამძლე ჯიშის საშემოდგომო ხორბალი, რომლის პოტენციური მოსავლიანობა იქნება 80-90 ცენტნერი მარცვალი ჰექტარზე; ციმბირისა და რრდილოეთ ყაზახეთისათვის გამოსადეგი საშემოდგომო სამარცვლე კულტურების ჯიშები, რომლებიც დიდი ზამთარგამძლეობა შეხამებული იქნება გაზრდილ მოსავლიანობასთან; საშემოდგომო ჭვავის ჯიშები, რომელთა მოსავლიანობა ჰექტარზე იქნება 50-60 ცენტნერი მარცვალი; ჩვეულებრივდროული და საადრეო ჯიშის საგაზაფხულო ხორბალი, რომელიც გვალვასა და ჩაწოლას გაუძლებს და ჰექტარზე ექნება 40-60 ცენტნერი პოტენციური მოსავლიანობა; ჩაწოლისადმი გამძლე ახალი ჯიშის მარცვალსაფურაჟე კულტურები, რომლებსაც ექნებათ ცილის მომეტებული შემცველობა და გაუმჯობესებული ამინომჟავური შედგენილობა, აგრეთვე მოსავლიანობა — 60-70 ცენტნერი ჰექტარზე; სიმინდის ჰიბრიდები, რომელთა პოტენციური მოსავლიანობა რწყვის პირობებში იქნება 120-130 და ურწყვეში — 80-90 ცენტნერი ჰექტარზე; უხვმოსავლიანი (ჰექტარზე 100-110 ცენტნერი) ჯიშის და გაუმჯობესებული ტექნოლოგიური თვისებების მქონე ბრინჯი; უხვმოსავლიანი (40-45 ცენტნერი ჰექტარზე) ჯიშის ბარდა და სხვა სამარცვლე პარკოსანი კულტურები. აგრეთვე უხვმოსავლიანი, ერთდროულად დასაწმენდებელი მექანიზებული მოვლა-მოყვანისა და აღებისათვის მომარჯვებული ჯიშის პამდორი და კიტრი.

საბოლოოდ გამოიყენონ (სახელმწიფო ჯიშთგამოცდაზე გადაცემით) მზესუმზირის ჯიშები და ჰიბრიდები, რომლებიც უზრუნველყოფენ ჰექტარზე ზეთის მიღების ზრდას 15-20 პროცენტით, თესლის მაღალი აღმოცენებისუნარიანობის და დიდი შაქრიანობის მქონე უხვმოსავლიანი შაქრის ჭარხლის ჯიშები და პოლიჰიბრიდები, რომლებიც უზრუნველყოფენ შაქრის მიღების გადიდებას ჰექტარზე 10-15 პროცენტით; ბამბის საადრეო ვილტგამძლე ჯიშები, რომლებსაც ექნებათ მაღალხარისხოვანი ბოჭკოს მომეტებული შემცველობა და მომარჯვებული იქნებიან მექანიზებული მოვლა-მოყვანისა და აღებისათვის, საშუალობოჭკოიანი ჯიშები — ჰექტარზე 70-80 და ნაზბოჭკოიანი ჯიშები — ჰექტარზე 40-50 ცენტნერი პოტენციური მოსავლიანობისა, ვაჟლიერონ სამარცვლე და სხვა კულტურების სელექცია მაენგბერ-დაავადებათა კომპლექსური გამძლეობისათვის.

მიწათმოქმედებისა და მცენარეთა დაცვის დარგში შეიმუშაონ თესლბრუნვები, რომლებიც შეეესაბამება სამეურნეოთაშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის მოთხოვნებს, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის ტექნოლოგია, აგრეთვე უზრუნველყოფს, რომ სარწყავ მიწებზე მოდიოდეს დაბორგრამებული მოსავალი: სულ ცოტა 70-80 ცენტნერი საშემოდგომო ხორბლის მარცვალი, 100-120 ცენტნერი სიმინდის მარცვალი, 150-200 ცენტნერი ითესილ თივა ჰექტარზე, აგრეთვე შაქრის ჭარხლის მოვლა-მოყვანის ტექნოლოგია, რომელიც საშუალებას იძლევა, რომ ურწყავი მიწის ყოველ ჰექტარზე ირაუმეტეს 90 კაცსაათის შრომითი დანახარჯებით მოდიოდეს სულ ცოტა 350 ცენტნერი ჭარხალი და სარწყავ მიწებზე — არაუმეტეს 110 კაცსაათის შრომით — სულ ცოტა 450 ცენტნერი. შეიმუშაონ ორგანული სასუქებისა და კომპოსტების მომზადებისა და შეტანის, ნიადაგების გაკირიანებისა და გათაბაშირიანების ეფექტიანი ტექნოლოგიები.

განახორციელონ მეცნარეთა დაცვის ისეთი სისტემების შემდგომი შემუშავება სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებადი სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის პირობებში, რომლებიც შეეესაბამება გარემოს დაცვის მოთხოვნებს და უზრუნველყოფს მოსავლიანობის დანაკარგების მაქსიმალურ შემცირებას, მისი თვისებების შენარჩუნებას, აგრეთვე ფართოდ ეძებონ მცენარეთა დაცვის ახალი ეფექტიანი და უსაფრთხო მეთოდები, განსაკუთრებით ბიოლოგიური მეთოდები.

საკვებწარმოების დარგში გააანალიზონ კვლევა საკვებწარმოების სპეციალიზაციისა და სამრეწველო საფუძველზე გადაყვანისათვის, შეიმუშაონ სრულფასოვანი საკვების შეზავების, დამზადებისა და გამოყენების ეფექტიანი ტექნოლოგიები, დამამაურონ საკვები ცილებისა და სინთეზური აზოტიანი შენაერთების რაციონალური გამოყენების მეცნიერული საფუძვლები და მეთოდები.

დაამთავრონ (და გადასცენ სახელმწიფო ჯიშთგამოცდას) იმ სასამარო კულტურების უხვმოსავლიანი ჯიშების გამოყვანა, რომლებიც შეეფუბული იქნებიან ხასმოვრო ბრუნვაში ხანგრძლივ გამოყენების და გაუძლებენ დაავადებებსა და მავნებლებს. სრულყონ ჰექტარზე 6-15 ათასი საკვები ერთეული პროდუქტიულობის კულტურული სათიბებისა და საძოვრების შექმნისა და გამოყენების მეთოდები (ქვეყნის ზონის შესაბამისად), აგრეთვე ურწყავ მიწებზე საკვების წარმოების ტექნოლოგიები, რომლებიც უზრუნველყოფენ 5-7 ათასი, რწყვის დროს კი 12-20 ათასი საკვები ერთეულის მიღებას ჰექტარზე. შეიმუშაონ საკვების დამზადების, შენახვისა და დაკონსერვების უფრო ეფექტიანი ტექნოლოგიები, რომლებიც უზრუნველყოფენ საკვების ყუთათანობის შენარჩუნებას 95-97 პროცენტით.

მეცხოველეობისა და ვეტერინარიის დარგში გააფართოონ სამუშაოები სამრეწველო ტექნოლოგიის პირობებში მოსაშენებლად და შესანახად გამოსადეგი ცხოველთა და ფრინველთა ახალი სპეციალიზებული მაღალპროდუქტიული ჯიშების, ჯიშთშორისი ჯგუფების, ხაზებისა და ჰიბრიდების სრულყოფისათვის და გააძლიერონ კვლევა ახლის გამოსაყვანად. შეიმუშაონ ქვეყნის ზონების მიხედვით სამრეწველო საფუძველზე მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების პროგრესული, ეკონომიურად ეფექტიანი ტექ-

(დასასრული მე-2 გვ.)

საინფორმაციო ცნობა

საქართველოს სსრ პარტიულ-სამეურნეო აქტივის თათბირის შესახებ

9 სექტემბერს გაიმართა საქართველოს სსრ პარტიულ-სამეურნეო აქტივის თათბირი.

თათბირის პრეზიდიუმში არიან **პ. გ. გილაშვილი, შ. დ. კიკნაძე, გ. ვ. კოლბინი, თ. ნ. მენთეშაშვილი, ე. ა. შევარდნაძე, თ. ი. მოსაშვილი, უ. კ. შარტავა, ნ. ა. ჭითანავა, ს. ე. ხაბეიშვილი.**

თათბირი გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ე. ა. შევარდნაძემ.**

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა **გ. ვ. კოლბინმა** გააკეთა მოხსენება — „1976 წლის რვა თვის სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულება და რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ალმა-ათის სიტყვის თვალსაზრისით“.

თათბირზე გამოვიდნენ: საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **თ. ნ. მენთეშაშვილი,** რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დირექტორი **ო. ნ. სულაძე,** საქართველოს კომპარტიის მახარაძის რაიკომის პირველი მდივანი **ე. ს. მალაზონია,** საწარმოო გაერთიანება „საქნავთობის“ გენერალური დირექტორი **რ. ნ. თევზაძე,** საწარმოო გაერთიანება „საქყოფქიმის“ გენერალური დირექტორი **ჯ. ა. თათარიშვილი,** საქართველოს სსრ სახმშენის თავმჯდომარე **ი. ნ. ციციშვილი,** საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **ვ. რ. პაპუნიძე,** საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრის პირველი მოადგილე **ე. ი. დუდჩენკო,** საქართველოს სსრ საშენი მასალების მრეწველობის მინისტრის პირველი მოადგილე **ა. ლ. ვარდოშვილი,** საქართველოს კომპარტიის გურჯაანის რაიკომის პირველი მდივანი **შ. მ. ეცადაშვილი,** ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსი **გ. ი. ქადაგიძე,** საქართველოს კომპარტიის ქ. თბილისის ლენინის რაიკომის პირველი მდივანი **გ. ა. ანჩაბაძე,** საწარმოო გაერთიანება „საქსამთოქიმმრეწვის“ გენერალური დირექტორი **ნ. შ. ცხაკაია,** საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი **ნ. ა. ჭითანავა.**

თათბირის შედეგები შეაჯამა **ე. ა. შევარდნაძემ.**

აქტივის თათბირზე მიიღეს მეათე ხუთწლედის პირველი წლის გადიდებული სოციალისტური ვალდებულებანი.

(საქინფორმი).

მახარაძელთა მაგალითისამებრ

47.300 ტონა ჩაის ნედლეული

ზუგდიდელმა მეჩაიეებმა მხარი დაუჭირეს მახარაძელ მეჩაიეებს და იკისრეს დამატებით მოკრიფონ 1.000 ტონა „მწვანე ოქრო“.

აფხაზეთის პარტიულ-სამეურნეო აქტივის თათბირზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის პასუხად მახარაძელმა მეჩაიეებმა კარგი თაოსნობა გამოიჩინეს. მათ იკისრეს დამატებით მოკრიფონ და სამშობლოს მისცეს 2.800 ტონა ფოთოლი. ზუგდიდელები მხარს უჭერენ მახარაძელებს და გადაწყვიტეს დამატებით მოკრიფონ და სახელმწიფოს მიჰყიდონ 1.000 ტონა ჩაის ნედლეული. სულ აღრიცხული გეგმა-ვალდებულების ჩათვლით — 47.300 ტონას მოკრეფენ, — განაცხადა ჩვენს საკუთარ კორესპონდენტთან საუბარში პარტიის ზუგდიდის რაიონის პირველმა მდივანმა **ი. თოდუა.**

კოლმეურნეობები და საბჭოთა

გვესაუბრება პარტიის ზუგდიდის რაიკომის პირველი მდივანი ი. თოდუა

□

მეურნეობები ყოველდღე აძლიერებენ ფოთლის კრეფის ტემპს. გუშინდელის ჩათვლით მოკრეფილია და ფაბრიკებს გადასაბუშავებლად ჩაბარდა 44.671 ტონა ჩაის ნედლეული, აქედან მანქანებით / მოკრეფილია 13.483 ტონა ფოთოლი.

ბევრმა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ დიდი გადაჭარბებით შეასრულა წლიური გეგმა-ვალდებულება და ახლა დამატებითი ვალდებულების ინგარიშში ყოველდღე ათობით ტონა ჩაის კრეფს. ეს ითქმის

ხუთწლედი —ვადამდე!

□

მოწინავეთა რიგებში იზრდება

თბილისი. დამკვრელური შრომის დღეებია ფოლად-თუჯსაშხმელო ქარხნის ხაამქროებში. ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის შეჯიბრება მიმდინარეობს დევიზით: „სანიმუშო დისციპლინა ყველგან, ყველა უბანზე“.

— განვლილი რვა თვის გეგმა კოლექტივმა ვადაზე შეასრულა, — თქვა ჩვენთან საუბარში ქარხნის დირექტორმა **ჯ. მანჯგალაძემ,** — საერთო პროდუქციის გამოშვების დავალებას 50 ათასი მანეთით გადავაჭარბეთ, ხოლო რეალიზაციისას — 175 ათასი მანეთით. აღსანიშნავია, რომ რუსთაველ მეტალურგთა ინიციატივის პასუხად საამქროებში საგრძნობლად იმატა მოწინავეთა რიცხვმა, გაფართოვდა მოძრაობა დევიზით — დაეხმარე ჩამორჩენილს! („კომუნისტის“ საკ. კორ.).

მეტალურგიული ციკლით

რუსთავი. (საკ. კორ.). სრული მეტალურგიული ციკლით შეასრულეს რვა თვის დავალება სანიმუშო დისციპლინისა და მაღალი პასუხისმგებლობისათვის გაშლილი შეჯიბრების ინიციატორებმა — რუსთაველმა მეტალურგებმა.

რვა თვეში გეგმის გადამეტებით მრეწველობას გაეგზავნა 13.912 ტონა ფოლადი, 4.548 ტონა თუჯი, 15.918 ტონა ნაგლინი, 20.300 ტონა აგლომერატი, 4.776 ტონა მილები... მეტალურგებმა ამასთან მომჭირნეობა აჩრდილეს და საკუთარ მოხმარებაზე დაზოგეს 25.278 ათასი კილოვატ-საათი ელექტროენერგია.

ყოველი ნაფხვნი ჩქარობსნული ენდა იყოს! — მეტალურგები ამ დევიზით შეუდგნენ შრომას წლის მესამე კვარტალის ბოლო თვეში.

დამკვრელურად!

აგვისტოში ახალი წარმატება მოიპოვა ჩვენი ქარხნის კოლექტივმა. საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა ვადაზე ადრე შეასრულეთ.

დამკვრელურად შრომობს ამწის კაბინების საამქროს კოლექტივი, რომელსაც გ. ცხოვრებოვი უდგას სათავეში. ინდივიდუალურ შეჯიბრებაში მოწინავეთა რიგებს არ თმობენ ხარატი ვ. გაგეევი, მღარავი გ. პეტროვი და სხვ. მათ აქტიურად დაუჭირეს მხარი რუსთაველთა ინიციატივას და გაშალეს შეჯიბრება დევიზით: „არცერთი ჩამორჩენილი, უდისციპლინო — ჩვენს გვერდით“.

მ. გუჩმაზოვა,
ცხინვალის მექანიკური ქარხნის ეკონომისტი.



ქუთაისის სახლთსაშენებელი კომბინატის კოლექტივმა, რომელმაც ყველა მაჩვენებლის მიხედვით გადაჭარბებით შეასრულა მეათე ხუთწლედის პირველი წლის რვა თვის დავალება, ვალდებულება იკისრა, რომ ვადაზე ადრე გადასცემს საექსპლოატაციოდ ობიექტებს ქალაქებში — ქუთაისში, ჭიათურაში. ზესტაფონში, გაგრასა და წყალტუბოში, კურორტ ბიჟვინთაში.

მემონტაჟეთა კომპლექსური ბრიგადა, რომელსაც „საპატიო ნიშნის“ ორდენოსანი, პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის წევრი ვ. აბზიანიძე ხელმძღვანელობს, ზლობინის მეთოდით მუშაობდა. მან ცხრასართულიანი პანელიანი საცხოვრებელი სახლი გეგმით გათვალისწინებული სამი თვის ნაცვლად 25 სამუშაო დღეში ააშენა.

სურათებზე: 1) მოთ—ქუთაისის სახლთსაშენებელი კომბინატის მემონტაჟეთა ბრიგადირი ვ. აბზიანიძე; ჩქარობსნული მეთოდით აშენებენ მორიგ ცხრასართულიან პანელიან საცხოვრებელ სახლს (მარცხნიდან) სამონტაჟო უბნის სამუშაოთა მწარმოებელი ელდარ ცნობილაძე, სამონტაჟო უბნის უფროსი მიხეილ კიკაჩეიშვილი, ზლობინელთა სამონტაჟო ბრიგადის წევრები ძმები შოთა და რევაზ კინწურაშვილები.

ბ. ბერსამიასა და შ. ირინასკის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ხალხის საქეთილდღეოდ

როგორც ცნობილია, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, 12 სექტემბრისათვის დანიშნულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატის არჩევნები № 172 გეგეჭკორის საარჩევნო ოლქში.

საზეიმოდ იყო მორთული გეგეჭკორის კულტურის სახლის დარბაზი. 9 სექტემბერს აქ მოვიდნენ № 172 გეგეჭკორის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლები, რათა შეხვედრიდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის თავიანთ კანდიდატს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ზურაბ ალექსანდრეს-ძე პატარიძეს.

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის გეგეჭკორის რაიკომის პირველმა მდივანმა ვ. გვარჯალაძემ. მან თქვა, რომ საარჩევნო ოლქის მშრომელებმა არჩევნებისწინა კრებებზე ერთსულოვნად დასაბელეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის თავიანთ კანდიდატად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზურაბ ალექსანდრეს-ძე პატარიძე. მან ყველა ამომრჩეველს მოუწოდა არჩევნების დღეს ერთსულოვნად მისცენ ხმა დეპუტატობის კანდიდატს.

ტრიბუნაზეა დეპუტატობის კანდიდატის ნდობით აღჭურვილი პირი, გეგეჭკორის რაიონის სოფელ სალხინოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სარევიზიო კომისიის წევრი ლ. ბასილაია. მან ამომრჩეველს გააცნო დეპუტატობის კანდიდატის ბიოგრაფია, მისი პარტიული, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწეობა. ამხ. ბასილაიამ გამოთქვა რწმენა, რომ გეგეჭკორის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველები არჩევნების დღეს ერთხმად მისცემენ ხმას ღირსეულ კანდიდატს ზ. ა. პატარიძეს.

სიტყვა ეძლევა გეგეჭკორის № 1 საშუალო სკოლის დირექტორს გ. გალდავას. მან დიდი გულთადობით ილაპარაკა ამხანაგ ზ. ა. პატარიძეზე, შეეხო მის დამსახურებას რესპუბლიკის ეკონომიური და კულტურული მშენებლობის დიდმნიშვნელოვანი საკითხების წარმატებით გადაწყვეტის საქმეში და ოლქის ამომრჩევლს მოუწოდა არჩევნების დღეს ხმა მისცენ ხალხის ღირსეულ კანდიდატს.

შეხვედრაზე გამოვიდნენ აგრეთვე დიდი ჭყონის მეჩაიეობის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორი ა. გორგოზია, ახალგაზრდა ამომრჩეველი მ. გაბუნია, გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი გ. ელიავა, დიდი ჭყონის ჩაის ფაბრიკის პროფკავშირის აღგილობრივი კომიტეტის თავმჯდომარე ს. ოკუჯავა, თავიანთ გამოსვლებში მათ აღნიშნეს, რომ გეგეჭკორის რაიონის მშრომელები, ისევე როგორც რესპუბლიკის ყველა მშრომელი, მთელი საბჭოთა ხალხი, დაუცხრომლად იბრძვიან სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახული გრანდიოზული ამოცანების, ამომრჩევლთა შეხვედრა ამხანაგ ზ. ა. პატარიძესთან

ალმა-ათაში ყაზახეთის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წარმოთქმულ სიტყვაში ჩამოყალიბებული დებულებებისა და დასკვნების განხორციელებისათვის, ორატორებმა მხურვალე მადლობა გადაუხადეს პარტიასა და მთავრობას ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნვისათვის. თავიანთი კოლექტივების, გეგეჭკორის რაიონის ყველა მშრომელის სახელით მათ განაცხადეს, რომ ყველაფერს იღონებენ პარტიის წინასწარდასახულობათა წარმატებით განხორციელებისათვის. ორატორებმა გამოთქვეს რწმენა, რომ ამხანაგი ზ. ა. პატარიძე გამართლებს გაწეულ დიდ ნდობას.

შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს ზ. ა. პატარიძეს. მან მხურვალე და გულითადი მადლობა გადაუხადა კოლექტივებს, რომლებმაც იგი დაასახელეს კანდიდატად საზელმწიფო ნელისუფლების უმაღლეს ორგანოში.

ამხ. პატარიძე დაწვრილებით შეეხო იმ წარმატებებს, რომლებსაც რესპუბლიკის, და, კერძოდ, გეგეჭკორის რაიონის მშრომელებმა მიაღწიეს, უკანასკნელი წლების მანძილზე, რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციისათვის, თქვა მან, საეტაპოა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივნისის დადგენილება საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ, რომელმაც ზუსტი და მკაფიო ამოცანები დასახა ცხოვრების ყველა სფეროს პარტიული ხელმძღვანელობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

კიდევ ბევრი საქმე მოგველის, — თქვა ამხ. პატარიძემ. — მეათე ხუთწლედის პირველი წლის დამლევამდე სამ თვეზე ცოტა მეტი დარჩა. ამიტომ ახლა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ თვითეულმა კოლექტივმა მთელი ძალ-ღონე მოახმაროს მიმდინარე წლის საგეგმო დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას. დადგა მოსავლისათვის ბრძოლის გადამწყვეტი ეტაპი. უნდა დავრაზმოთ მთელი ძალები, გამოვიჩინოთ მაღალი ორგანიზებულობა, დისციპლინა, ვიბრძოლოთ თვითეული ცენტნერი სოფლის მეურნეობის პროდუქციისათვის. ამ ბოლო დროს რაიონში განმტკიცდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. თავდადებული შრომა დადებით შედეგებს იძლევა. ამხანაგ პატარიძემ დაასახელა ცოფრები, ფაქტები, რომლებიც თვალსაჩინოდ ასახავენ რაიონის მშრომელთა წარმატებებს. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე, აღნიშნა მან, გეგეჭკორის რაიონი მნიშვნელოვანი გადაჭარბებით ასრულებდა სახელმწიფოსათვის მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის გეგმებს. რაიონში განმტკიცდა სახელმწიფო და შრომის დისციპლინა. სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა და დამზადების მონაცემები მოწმობენ, რომ რაიონს წელს ექნება საუკეთესო მაჩვენებლები, ვიდრე განვლილი ხუთწლედის რომელიმე წელს. მაგრამ ჯერ კიდევ არის ნაკლოვანებები, და საკმაოდ არსებითი ნაკლოვანებებიც. ჯერ კიდევ დაბალია მარცვლეულის მოსავლიანობა, შეუწყობრელად მაღალია მეცხოველეობის პროდუქტების თვითღირებულება. ი რატომ უნდა ვიბრძოლოთ თვადადებით, რომ უახლოე

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

(დასასრული)

ნოლოგიები. სასოფლო-სამეურნეო პირუტყვის სრულფასოვანი ვეგეტაციის და მოვლის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს, რომ მიღებულ იქნეს საშუალოდ ერთ ძროხაზე წელიწადში 3,8-4 პროკენტი ცხიმიანობის 5-7 ათასი კილოგრამამდე რძე, აგრეთვე 1100-1300 გრამი საშუალო-სადღეღამისო წონანამატი მსხვილფეხა-რქიანი პირუტყვის სუქნების დროს, 700-750 გრამი ღორის სუქნების დროს, ერთ ცხვარზე 3,2-3,5 კილოგრამი ნაზი მატყლის ნაპარსი (წმენდა მოშკოდ) და წელიწადში ერთ მოქცეულზე 280-300 კვერკუნა.

უზრუნველყოფ ცალკეული მეცხოველეობის სადგომების დაპროექტებიდან მეცხოველეობის საწარმოთა კომპლექსურ დაპროექტებაზე გადასვლა (საკვებწარმოების ორგანიზაციისა და მეცხოველეობის ნარჩენების გამოყენების გათვალისწინებით).

შეიმუშაოს პირუტყვის მკურნალობის უფრო სრულყოფილი მეთოდები და საშუალებები, აგრეთვე ვეტერინარულ-პროფილაქტიკური, სანიტარიული და ზოოჰიგიენური ღონისძიების სისტემები, რომლებიც მეცხოველეობის კომპლექსების, ფერმებისა და მეფრინველეობის ფაბრიკების ტბკიცე ვეტერინარულ ჯანსაღობას, გაუუქმებინებისგან გარიმოს დაცვას, მაღალი სანიტარიული ნორმების შეცხოველეობის პროდუქციის მიღებას უზრუნველყოფენ.

შექმნან უფრო ეფექტიანი ბიოლოგიური და ქიმიოთერაპევტული ვეტერინარული პრეპარატები და მათი წარმოების ტექნოლოგიები, ხელსაწყოები და ინსტრუმენტები პირუტყვის მასობრივი გამოკვლევისა და დაშუშვებისათვის.

სოფლის მეურნეობის ქიმიზაციის დარგში სრულყონ საბოსფლო-სამეურნეო წარმოების აგროქიმიური მომსახურების სისტემა ქიმიზაციის საშუალებებით მისი მომარაგების გზით, აგრეთვე გაუმჯობესონ მასუქების ტრანსპორტირებას, შენახვის, მანერალური სასუქების ნარევების დამზადებისა და ნიადაგში შეტანის ტექნოლოგია.

უზრუნველყონ ქიმიკნის სხვადასხვა ზონის პირობებში, მათ შორის დაბრობილ და სარწყავ მიწებზე მცენარეთა სიზრდოობის მეცნიერული საფუძვლების, ნიადაგსა და მცენარეებში მიხერალური ნივთიერებების, კერძოდ, მიკროელემენტების, ოპტიმალური თანაფარდობის შენარჩუნების წესების შემდგომი შემუშავება, გაამლიერონ კვლევა იმის შესასწავლად, თუ რა გავლენას ახდენენ მანერალური სასუქები და სხვა ქიმიური პროდუქტები სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხარისხსა და ბიოლოგიურ სრულფასოვნებაზე, შეიმუშაონ გარიმოს გაჯუჯყიანებისადმი კონტროლის მეთოდები.

სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის დარგში შეიმუშაონ სოფლის, წყალთა და სატყეო მეურნეობის კომპლექსური მექანიზაციის მანქანების სისტემა, რომელიც თვალისწინებს ენერგეტიკული საშუალებების ერთიანი სამძღვარის გადიდებას და მანქანა-ტრაქტორთა აგრეგატების მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებას, მანქანების უნივერსალიზაციას, რამდენიმე ტექნოლოგიური ოპერაციის შეთავსებას, ჰიდროამძრავის, ელექტროენერგიისა და აიტომატიზაციის საშუალებების გამოყენებას აგრეგატების მართვისათვის, რომელიც უზრუნველყოფს ძირითადი სახეობის სამუშაოებზე 1,5-2-ჯერ შრომის დანახარჯების შემცირებას.

შეიმუშაონ მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციები კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მანქანა-ტრაქტორების პარკის გამოყენების ეფექტიანობის მნიშვნელოვანი ამაღლებისათვის, მათი ექსპლატაციის პერიოდში მანქანებისა და აგრეგატების ტექნიკური მომსახურების პროგრესული ხერხების გამოყენების გაფართოებისა და სოფლის მეურნეობაში ტრაქტორის ნორმისნის გაუმჯობესებისათვის. შეიმუშაონ და წარმოებაში დანერგონ მანქანების დეტალების ცენტრალიზებული აღდგენის ინდუსტრიული მეთოდები და ტექნოლოგიური პროცესები და შესაბამისი მოწყობილობა ამ მიზნებისათვის.

უზრუნველყონ მსხვილი მეცხოველეობის კომპლექსებისა და სპეციალიზებული ფერმებისათვის ახალი მექანიზებული ტექნოლოგიების, ელექტროფიკაციებული და ავტომატიზებული მანქანებისა და მოწყობილობის შემდგომი შემუშავება, რომლებიც მეცხოველეობაში შრომის ნაყოფიერების მნიშვნელოვანი გადიდების შესაძლებლობას იძლევიან. შექმნან მეცხოველეობის ფერმების მანქანებისა და მოწყობილობის ტექნიკური მომსახურების ეფექტიანი საშუალებები.

მიდროტექნიკისა და მიწების მელიორაციის დარგში შეიმუშაონ მექანიზებული ზედაპირული რწყვის სარწყავი სისტემები, რომლებიც უზრუნველყოფენ რწყვის დროს 3-5-ჯერ შრომის ნაყოფიერების ზრდას, აგრეთვე კაც-ცვლაში 10-15 ჰექტარი რწყვის მწარმოებლობის აიტომატიზებული დასაწვიმი სისტემები ჰექტარზე რწყვის ნორმით გათვალისწინებული 400 კუბური მეტრი წყლის ნაცვლად. შექმნან ნიადაგგვეშა რწყვის, მათ შორის წვეთოვანი რწყვის საცდელ-საწარმოო სისტემები, რომლებიც შეესაბამებიან წყლის მაღალპროდუქტიული გამოყენების მეთოდებს, შეიმუშაონ წყალსამეურნეო მშენებლობის ნაკადური ტექნოლოგიური და ინდუსტრიული მეთოდები, რომლებიც შრომის ნაყოფიერებას 1,5-ჯერ ადიდებენ.

აგროტექნიკისმელიორაციო და მეტყევეობის დარგში უზრუნველყონ იმ წესების შემუშავება, რომ ამაღლდეს აგროსამელიორაციო ნარგავების ეფექტიანობა გვალვის, ნაადგილ, წყლისმიერი და ქარისმიერი ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლაში, აგრეთვე ხევების გამაგრების, ქვიშიანი და სხვა მოუხერხებელი მიწების ათვისების დროს. სრულყონ სატყეო მეურნეობის ეფექტიანი მეთოდები კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტყეებსა და სხვადასხვა დამცავ ტყიანარგავებში საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაციის ბაზაზე.

პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს წინადადება მიეცათ ყოველდღიური დახმარება გაუწიონ სასოფლო-სამეურნეო სამეცნიერო დაწესებულებებს სოფლის მეურნეობაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ძირითად მიმართულებათა მიხედვით სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების წარმატებით შესრულებაში.

იმის გამო, რომ სოფლის მეურნეობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე მკვეთრად იზრდება სასოფლო-სამეურნეო მეცნიერთა და ცხოველთა მნიშვნელობა, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხარეო აღმასკომებსა და ადგილობრივ სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს წინადადება მიეცათ განახორციელონ ღონისძიებანი, რათა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საცდელი სადგურების მუშაობა წარმართონ იმისათვის, რომ შეამოწმონ (ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით) და დანერგონ მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების პროგრესული ტექნოლოგიები, მოაწყონ პირველადი მეთესლეობა და აწარმოონ კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის ელიტური და პირველი რეპროდუქციის დარაიონებული და პერსპექტიული ჯიშების თესლი, მოამზადონ სასოფლო-სამეურნეო ცხოველების სანაშენე მოზარდეული.

გაამლიერონ სასოფლო-სამეურნეო ზონალური ინსტიტუტებისა და სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საცდელი სადგურების როლი იმ საქმეში, რომ პროპაგანდა გაუწიონ და სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დანერგონ საბჭოთა და საზღვარგარეთის მეცნიერების მიღწევები და მოწინავე გამოცდილება, აამაღლონ სოფლის მეურნეობის მუშაკთა კვალიფიკაცია, განავითარონ საგამმგონებლო და რაიონალიზატორული მოძრაობა.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დაევალათ 1977-1980 წლებში განახორციელონ სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საცდელი სადგურების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების, ახალი ტექნიკისა და მოწყობილობით მათი აღჭურვის საჭირო ღონისძიებანი.

საჭიროდ არის მიჩნეული, რომ ოლქის, მხარისა და რესპუბლიკის თვითეულ ბუნებრივ-ეკონომიურ ზონაში იყოს საბაზო საცდელ-საჩვენებელი მეურნეობანი (საწარმოები და ორგანიზაციები), სადაც სოფლისა და წყალთა მეურნეობის ხელმძღვანელები, სპეციალისტები და სხვა მუშაკები შეძლებენ პრაქტიკულად შეისწავლონ ტექნიკის დიდმწარმოებლური გამოყენებისა და მოწინავე ტექნოლოგიათა, შრომის ორგანიზაციის წარმოებაში დანერგვის გამოცდილება, აიმაღლონ კვალიფიკაცია.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრომ „საკსოფლტექნიკამ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა, მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურმა კომიტეტებმა და მინისტრთა საბჭოებმა სკკპ სამხარეო, საოლქო და რაიონულმა კომიტეტებმა, ადგილობრივმა საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა გაუმჯობესონ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მეცნიერების, ტექნიკის მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვის ორგანიზაცია, ამასთან უზრუნველყონ, რომ ყოველნაირად დაჩქარდეს პროგრესული სამეცნიერო-ტექნიკური ნამუშევართა დანერგვა კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში და სხვა სასოფლო-სამეურნეო და წყალსამეურნეო საწარმოებსა და ორგანიზაციებში.

ამის შესაბამისად სრულყონ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მეცნიერების, ტექნიკის მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვის სამუშაოთა დაგეგმვა, მათი მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური უზრუნველყოფა, გაამლიერონ კონტროლი ამ ღონისძიებათა განხორციელებისადმი, გაუმჯობესონ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მეცნიერების, ტექნიკის მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვისათვის მოწოდებული კოლექტივებისა და მუშაკების წახალისების სისტემა.

მეცნიერების, ტექნიკის მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების წარმოებაში დანერგვის სამუშაოთა კოორდინაციის მიზნით სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს შემადგენლობაში შეიქმნას საკვლევითი ქვეგანყოფილებები იმ ორგანიზაციათა ანსაბეული სამტატო რიცხვისა და სამმართველო აპარატის შენახვის ასიგნებათა ფარგლებში, რომლებიც სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის სამინისტროებთან. სოფლის მეურნეობის სამხარეო და საოლქო სამმართველოებთან მოქმედებენ. აღნიშნულ ქვეგანყოფილებს დაეკისროთ ავრეთვე იმ სამეურნეო-ანგარიშიან ორგანიზაციათა ხელმძღვანელობა, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მეცნიერების, ტექნიკის მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვის სამუშაოებს ასრულებენ.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს და „საკსოფლტექნიკის“ მონაწილეობით განიხილონ და გადაწყვიტონ ის საკითხი, რომ რესპუბლიკებში, მხარეებსა და ოლქებში შეიქმნას სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მეცნიერების, ტექნიკის მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვის საერთო-დარგობრივი გეგმების საკოორდინაციო საუწყებათშორისო საბჭოები. აღნიშნულ საბჭოებს შესაბამისად სათავეში უნდა უდგეს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, სამხარეო აღმასკომის ან საოლქო აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე.

იმ მიზნით, რომ მეცნიერება უფრო ეფექტიან გავლენას ახდენდეს სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაზე და უფრო ეფექტიანად ინერგებოდეს წარმოებასთან მეცნიერების კავშირის ახალი ფორმები, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, „საკსოფლტექნიკასა“ და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს წინადადება მიეცათ:

— გააძლიერონ მუშაობა სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებათა შესაქმნელად, საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყონ, რომ გადიდეცეთ მათ სამეცნიერო და საწარმოო ქვეგანყოფილებები, შექმნან ამ გაერთიანებებში სპეციალიტეტ და საკონსტრუქტორო ბიუროები;

— ხელი შეუწყონ სამეცნიერო-საწარმოო ლაბორატორიათა ორგანიზაციის სამეურნეობათაშორისო და აგროსამრეწველო გაერთიანებათა შემადგენლობაში და მათი სახსრებით დაეკისროთ ასეთი ლაბორატორიების მეცნიერულ-მეთოდიკური ხელმძღვანელობა ზონალურ ინსტიტუტებსა და სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საცდელ სადგურებს.

დაევალათ განახორციელონ ღონისძიებანი, რათა უფრო ეფექტიანად განვითარდეს სოციალისტურ ქვეყნებთან თანამშრომლობა სასოფლო-სამეურნეო წარმოების დარგში.

სამეურნეობათშორისო მნიშვნელობის სამეცნიერო-საწარმოო სამუშაოთა განხორციელების მიზნით მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს წინადადება მიეცათ უჩრონ კოლმეურნეობათა საბჭოს საპრეზიდიუმს შემთხვევაში მოახდინონ კოლმეურნეობათა იმ სახსრების ცენტრალიზაცია (მეურნეობათა თანხმობით), რომლებსაც კოლმეურნეობები აძლევენ სამეცნიერო-კვლევითს დაწესებულებებს სახელმეკურლები სამუშაოთა ასანაზღაურებლად.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაევალა გააფართოოს მეცნიერული კვლევა საქვეუწყებო უმაღლეს სასწავლებლებში არსებულ ლაბორატორიათა და კათედრათა ბაზაზე, აგრეთვე სასწავლო-სამეცნიერო ცენტრების შექმნის გზით, უზრუნველყოს, რომ უფრო ფართოდ ჩაბმულ კვლევითს მუშაობაში უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობა.

იმ მიზნით, რომ განმტკიცდეს და განვითარდეს სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა და მათი საცდელ-საწარმოო და ექსპერიმენტულ მეურნეობათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ნებადართულია 20 პროცენტამდე გიიზარდოს მოგების ანარიცხები მეურნეობის განმტკიცებისა და გაფართოების ფონდში სადაზღვევო ფონდის ანარიცხების შესაბამისი შემცირების ხარჯზე.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრომ, „საკსოფლტექნიკამ“, საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიამ და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა შემუშაონ სქვეუწყებო სამეცნიერო-ტექნიკური დაწესებულებების, მათი ექსპერიმენტული და საცდელ-საწარმოო მეურნეობების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების პერსპექტიული (1977-1985 წლების) გეგმა.

ყველაზე დიდ სამეცნიერო-ტექნიკურ გამოკვლევათა და აღმოჩენათა შემუშავებისა და წარმოებაში დანერგვისათვის, რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ სოფლის მეურნეობაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დასაჩქარებლად სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების კოლექტივებისათვის დაწესებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ათი პრემია, ექვიდან ორი პირველი პრემია — 20-20 ათასი მანეთი, სამი მეორე პრემია — 10-10 ათასი მანეთი და ხუთი მესამე პრემია — 5-5 ათასი მანეთი.

აღნიშნული პრემიები მიენიჭებათ ყოველწლიურად, 1977 წლიდან დაწყებული, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკისა და ორგანიზაციის, სამეურნეობათშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე მისი სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის დიდი პრობლემების შემუშავებისათვის, მარცვლეულის, ტექნიკური, საკვები და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების საკვლევო ჯიშებისა და პიბრიდების, სასოფლო-სამეურნეო ცხოველებისა და ფრინველის ჯიშების ჰიბრიდებისა და ხაზების დანერგვისათვის, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიების, შემცენარეობისა და მეცხოველეობისათვის მაღალეფექტიანი პრეპარატების შექმნისა და დანერგვისათვის, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო წარმოების მექანიზაციის, ელექტრიფიკაციისა და ავტომატიზაციის, მელიორაციის, ვეტერინარიისა და მეცენარეთა დაცვის დარგის დიდმნიშვნელოვანი ამოცანების გადაწყვეტისათვის.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მტკიცე რწმენა გამოთქვეს, რომ მეცნიერები, სპეციალისტები, სოფლის მეურნეობის მეცნიერების ყველა მუშაკი ღირსეულ წვლილს შეიტანენ სოფლის მეურნეობაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში და სოფლის მშრომელებთან ერთად უზრუნველყოფენ ამ დარგის განვითარების ხვრაფ და მყარ ტემპს საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომი განუხრელი გაუმჯობესების მიზნით.

ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს

ვიიღეთ ჩვენი დიდი სამძიმარი ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მაო ძე-დუნის გარდაცვალების გამო.

თანაგრძნობას ვუცხადებთ ნგრეთვე განსვენებულის ოჯახს და ძალლებს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

გარდაიცვალა მაო ძე-დუნი

ბეიკინი, 9 სექტემბერი. (საკუდსი). ოქმ ცამეტ ნოემბერ, რომ 9 სექტემბერს 0 საათსა და 10 წუთზე მეკანში 82 წლისა გარდაიცვალა ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე მაო ძე-დუნი.

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲐᲥᲩᲔᲚᲘ

ᲡᲐᲯᲓᲔᲡᲘ ᲓᲐ ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲙᲠᲔᲡᲘᲡ ᲡᲐᲥᲒᲔᲜᲢᲝᲔᲑᲘ ᲘᲢᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲘᲐᲜ

ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ, ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ

9 ᲡᲕᲘᲢᲚᲘᲜᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ

პრეზიდენტ ჯ. ფორდის ინტერვიუ

ვაშინგტონი, (საკუდსი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯ. ფორდმა უთხრა „ი. ს. ნიუს ენდ უორლდ რიპორტისათვის“ მიცემულ ინტერვიუში ასეთი შეფასება მისცა სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკების მდგომარეობასა და პერსპექტივებს:

თუ ჩვენს არ დავდებთ შეთანხმებას სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ, თქვა მან, ჩვენ ვეცდებით მივიღწიოთ ურთიერთხელსაყრელ შეთანხმებას 1977 წელს. როგორც ჯ. ფორდმა თქვა, ასეთი შეთანხმების დადება არ იქნება დამოკიდებული ამერიკის შეერთებული შტატების საარჩევნო ბრძოლის მოსაზრებებზე. ყოველგვარი პოლიტიკური შედეგების მიუხედავად, თუ ხელსაყრელ შეთანხმებას მივაღწიეთ, ჩვენ დავდებთ მას, განმარტა ფორდმა. ჩვენ მუდამ ვმუშაობთ ამ პრობლემაზე, ვინაიდან ხელსაყრელი შეთანხმება სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის დარგში ორი ქვეყნისა და მთელი მსოფლიოს ინტერესებს შეესაბამება.

თუ ჩვენ არ დავდებთ შეორე შეთანხმებას სტრატეგიული შეიარაღებას შეზღუდვის შესახებ, ვინაიდან ორმხრივ ინტერესებს ეფუძნება, რომ 3 ოქტომბერს ვიდა, 1977 წლის 3 ოქტომბერს გაუდის, თქვა შემდეგ ჯ. ფორდმა, სტრატეგიული შეიარაღების ხარჯები კიდევ უფრო გაიზრდება. ეს კი ფინანსურ პრობლემას შეუქმნის ფედერალურ მთავრობას.

იგი კრიტიკულად მიუდგა პრეზიდენტის პოსტზე დემოკრატიულ კანდიდატის ჯ. კარტერის მოწოდებას, რომ „ეკონომიური ზიგფრიდი“ გამოიყენონ საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკების დროს ცალმხრივი სარგებლის მისაღწევად. მე ვფიქრობ, რომ ჩვენ შეგვიძლია მივაღწიოთ საბჭოურო საქმეებში ეკონომიურ შეთანხმებებს და არ გვჭირდება რაიმე ეკონომიური ბერკეტების გამოყენება „ზეგავლენის“ საშუალებად, თქვა ჯ. ფორდმა.

ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკური კურსის სხვა ასპექტების თაობაზე პრეზიდენტმა განაცხადა, რომ შეერთებული შტატები კვლავ გაზრდის თავისი დასავლეთევროპელი მოკავშირეების ეკონომიკურ და სამხედრო პოტენციალს, აგრეთვე განამტკიცებს ბაპონიასთან ურთიერთობას.

დროის სულისკვეთების საწინააღმდეგოდ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲤᲣᲤᲝᲗᲔᲑᲐ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘᲡ ᲖᲠᲓᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, (საკდესი). „როცა ადამიანებს იარაღის უნაყოფო წარმოებაზე ვამუშავებთ, ჩვენ ამით საფრთხეს ვუქმნით ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნულ ინტერესებს“. ასე შეაფასა სენატორმა ა. კრანსტონმა პოლიტიკა, რომლის მიზანია განუწყვეტლივ ზარდნ შეერთებული შტატების სამხედრო ხარჯები, რომლებიც 1977 საფინანსო წელს შეადგენენ ექვუნის ასტრონომიულ რეკორდულ თანხას — თითქმის 113 მილიარდ დოლარს.

ამერიკელი ეკონომისტები სულ უფრო ხშირად მიდიან იმ დასკვნამდე, რომ სამხედრო მანქანის კოლოსალური ასიგნებანი დამახინჯებული ფორმით — ცალმხრივ ავითარებს ამერიკის ეკონომიკას და ამწვავებს მის ყველაზე სერიოზულ პრობლემებს — ინფლაციას და უმუშევრობას, გამოანგარიშებულია, რომ სამხედრო მიზნებზე დახარჯულ ყოველ მილიარდ დოლარზე ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკა საშუალოდ კარგავს 20-30 ათას სამუშაო ადგილს. სწორედ ამდენი ამერიკელი მიიღება სამუშაოს, მთელი ეს ხასრები არასამხედრო მიზნებისათვის რომ გაშალეყენებინათ.

ამაეე დროს უმუშევრობის დონე წინა თვეში კიდევ უფრო ამაღლდა და მთელი შრომისუნარიანი მოსახლეობის 7,9 პროცენტს მიაღწია, ნაწილობრივ უმუშევრობას თუ გავითვალისწინებთ, ეს ნიშნავს, რომ მარტო წლეულს სამუშაოს დაკარგავს საერთო ანგარიშით 20. მილიონამდე ამერიკელი.

ხელისუფალნი ამიზეზებენ ბიუჯეტის გადატვირთვას და უარს ამბობენ მიიღონ ზომები, რათა შეამცირონ უმუშევრობა და ეფექტიანად უფლებიანობა, ვინაიდან ეკონომიკა უკანასკნელი ათი წლის მანძილზე 50 პროცენტით გაადიდა საცალო ფასები.

უზომო სამხედრო ხარჯები დეფიციტს უქმნის ფედერალურ ბიუჯეტს, რომელმაც 1965 წლიდან უკვე 240 მილიარდ დოლარს გადაეჭარბა. აი, რა ფასად უჯდება შეერთებულ შტატებს ვიმბინგტონის გამალებული შეიარაღების კურსი.

ამერიკის საზოგადოებრიობა დიდ შეშფოთებას გამოთქვამს სამხედრო ბიუჯეტის ზრდის გამო.

უცხოური ეროზიაქვ

გადარჩენილი ხელები

ᲮᲐᲚᲬᲘᲗ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ: ᲮᲔᲚᲘ ᲛᲘᲐᲯᲐᲠᲔᲑᲓᲐ. ექიმები ამაზე იტყვიან: მოხდა ზედა კიდურის რეიმპლანტაცია, ესეიგი უბედური შემთხვევის გამო სხეულიდან მოცილებული ხელის გაცოცხლება.

უკანა ხუთი წელია ვიოცლავის ახლოს ტმენიცკის საავადმყოფოში პოლონელი ექიმების ჯგუფი დოქტორ რომარდ კოცემბას ხელმძღვანელობით აკეთებს ხელების რეიმპლანტაციის ოპერაციებს.

ამ ხნის განმავლობაში ექიმებმა უკვე 30 ხელს დაუბრუნეს სიცოცხლე. მაგრამ ტრავმატოლოგიური ცენტრის მუშაობა მარტო ამ ოპერაციებით არ შემოიფარგლება. ტმენიცკის საავადმყოფოში აკეთებენ ათობით უფრო რთულ ოპერაციებს, რომლებიც აღადგენენ უბედური შემთხვევების შედეგად დაზიანებული ხელების ფუნქციებს.

სიცოცხლისათვის საშიში მეტრო

რამდენიმე წელია ნიუიორკელები უჩივიან თავიანთ მეტროს: ჭუჭყი მოედნებზე, ცუდი ვენტილაცია, გამაყრუებელი ხმაური. ქალაქის ხელისუფალთ ყურადღება რომ მიექციათ მეტროპოლიტენის რეკონსტრუქციისათვის, ლონგაილენდის უნივერსიტეტის ორმა თანამშრომელმა ჯ. საკერმა და ს. უელტმუნმა ჩაატარეს ექსპერიმენტი: მათ 25 თაგვი მოთავსეს მეტროპოლიტენის მსგავს პირობებში.

ოთხი თვის განმავლობაში დღეში ორჯერ თაგვებს „აბუშავებდნენ“ მაგნიტოფონის ფირზე ჩაწერილი მეტროს ხმაურით. ამის შედეგად 25-დან 4 თაგვი მოკვდა.

ოჯახური ტრადიცია

ᲠᲝᲦᲐ 2 ᲬᲚᲘᲡ ᲑᲝᲑᲘ ᲠᲝᲑᲔᲠᲢᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲪᲘᲠᲙᲘᲡ ᲮᲘᲢᲘᲗᲘᲗᲘᲡ ᲝᲠᲛᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐ Ჯ. ᲡᲐᲚᲔᲠᲛᲐ ᲓᲐ Ლ. ᲣᲔᲚᲢᲛᲣᲜᲗᲛᲐ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲡ ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲘᲛᲔᲜᲢᲘ: ᲛᲐᲗ 25 ᲗᲐᲒᲕᲘ ᲛᲝᲗᲐᲕᲐᲡᲔᲡ ᲛᲔᲢᲠᲝᲞᲝᲚᲘᲢᲔᲜᲘᲡ ᲛᲡᲒᲐᲕᲘ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲨᲘ.

ᲝᲗᲮᲘ ᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲓᲦᲔᲛᲘ ᲝᲠᲯᲔᲠ ᲗᲐᲒᲕᲔᲑᲘ „ᲐᲑᲣᲨᲐᲕᲔᲑᲓᲜᲔᲜ“ ᲛᲐᲒᲜᲘᲢᲝᲤᲝᲜᲘᲡ ᲤᲘᲠᲖᲔ ᲩᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲛᲔᲢᲠᲝᲡ ᲮᲛᲐᲣᲠᲘᲗ. ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲐᲓ 25-ᲓᲐᲜ 4 ᲗᲐᲒᲕᲘ ᲛᲝᲙᲕᲓᲐ.



ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲞᲠᲔᲡ-ᲡᲐᲯᲓᲔᲡᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

● ᲑᲔᲚᲒᲠᲐᲓᲘ. ᲡᲚᲝᲕᲔᲜᲘᲘᲡ ᲡᲐᲯᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡტᲘᲡ ᲓᲐᲑᲐ ᲑᲠᲓᲝ-ᲙᲝᲓ-ᲙᲠᲝᲜᲘᲐᲨᲘ ᲓᲐᲘᲧᲝᲗ ᲛᲝᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲜᲘᲪ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘ ᲘᲧᲝᲜᲔᲑᲓᲜᲔᲜ „ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲗᲔᲡᲐᲗᲕᲘᲡ“ ᲓᲐ „ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲗᲔᲡᲐᲗᲕᲘᲡ“ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲠᲘᲪᲮᲕᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲝᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ. ᲛᲝᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲒᲐᲜᲘᲮᲚᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ Ჯ. ᲙᲐᲠᲢᲔᲠᲘᲡ ᲛᲝᲬᲕᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲓᲐᲛᲐᲮᲐᲠᲔᲑᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲗ ᲓᲐᲬ

პარტიული ცხოვრება

დავამკვიდროთ მუშაობის ლენინური სტილი

ერა მგონია, ჩვენი რესპუბლიკის პარტიულ აქტივში იყოს დღეს ისეთი ადამიანი, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმდინარე წლის ივნისის დადგენილებას დიდი კმაყოფილებით არ შეხვედროდეს, ეროვნული ხიბამაყის გრძნობა და უკეთ მუშაობის დაუოკებელი სურვილი არ აღძვროდეს.

ამ ისტორიულ დოკუმენტში, რომელიც აკამებს ხალართველოს პარტიული ორგანიზაციის მიერ უკანასკნელ წლებში მოპოვებულ თვალსაჩინო შედეგებს, გამოთქმულია კეთილი რჩევაც, თუ როგორ ვიმოქმედოთ მომავალში, რომ უველგან დავამკვიდროთ მუშაობის ლენინური სტილი, საბოლოოდ დავძლიოთ ჩამორჩენა და კიდეც უფრო ავამაღლოთ მთელი ჩვენი მუშაობის ხარისხობრივი დონე.

ჩემი აზრადღება მიიპყრო სწორედ ამ საკითხებზე ამას წინათ „კომუნისტის“ ტრადიციულ მრგვალ მაგიდასთან შეხვედრის მონაწილეთა გამოსვლებმა და აღმეძრა სურვილი ზოგიერთ საკითხზე გამომეძახა პირადი მოსაზრებები.

მთავარი და ძირითადი პარტიულ-სახელმწიფოებრივ ხელმძღვანელობაში, როგორც ამას ვ. ი. ლენინი გვასწავლის, ეს არის კადრებთან მუშაობა და მიღებულ დადგენილებათა შესრულების შემოწმება. იქ, სადაც ამ პრინციპს მტკიცედ იცავენ, საქმეც კარგად მიდის. ხოლო ლენინური მითითებიდან თუ გინდ ოდნავი გადახვევაც კი მძიმე დაღს ასვამს ცოცხალ საქმეს, იწვევს როგორც პოლიტიკურ, ისე სამეურნეო ჩავარდნებს. ამის საილუსტრაციოდ მრავალი მაგალითის მოყვანა შეგვიძლია პარტიის ტყიბულის საქალაქო კომიტეტის კადრებთან მუშაობის პრაქტიკიდან.

ცოდვა გამხელილი სჯობსო. ახლო წარსულში კადრების შერჩევისა და განაწილების ცნობილი პრინციპი არც თუ ოშვიათად ირღვეოდა. იყო შემთხვევა, როცა ხელმძღვანელ პოსტებზე აწინაურებდნენ არა უნარისა და საქმიანი თვისების მიხედვით, არამედ კუთხურობის, ნათესაობის და პირადი ერთგულების ნიშნით. ბოლო ხანებში ჩატარებულ პლენუმებსა და პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებებზე ბევრჯერ მკაცრად, მაგრამ სამართლიანად გააკრიტიკეს ქალაქის სამრეწველო კომბინატის დირექტორი ვ. დოხნაძე, რომლის ამ საპატო თანამდებობაზე დანიშვნა არ იყო გამართლებული არც მისი საქმიანი თვისებებით და არც წარსულში სხვა თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილებით.

საკადრო პოლიტიკის დარღვევამ ცუდ შედეგამდე მიგვიყვანა. კუთხურობისა და ნაცნობობის პრინციპით „გამომცხვარმა“ დირექტორმა თავი ვერ გაართვა. სამუშაოს, ჩაადო სახელმწიფო გეგმა. კომბინატში შესუსტდა შრომის დისციპლინა, საწარმოს სამკერვალო საამქროში მოიკალათეს და თავს არხეინად გრძნობდნენ კომბინატორები, რომლებმაც დიდძალი სახელმწიფო ქონება დაიტაცეს.

შექმნილი მდგომარეობის მოთმენა, რა თქმა უნდა, აღარ შეიძლებოდა. პარტიის საქალაქო კომიტეტის ახალი ხელმძღვანელობა იძულებული შეიქმნა სამუშაოდან გაენთავისუფლებინა სუხტი, შეუფერებელი დირექტორი და დაენიშნა ახალი. უკანასკნელი თვეების სტატისტიკა იმაზე მეტყველებს, რომ კომბინატი თანდათან ასწორებს ჩამორჩენას. მისმა აგურის საამქრომ ივლისში, უკანასკნელ სამ წელიწადში, პირველად შეასრულა პროდუქციის ამოშვების სახელმწიფო გეგმა. მსგავსი მაგალითების მოყვანა, კიდევ შეიძლება. აქ საგულისხმოა ის, რომ ახლა საქალაქო კომიტეტი თანდათან ასწორებს წარსულში დაშვებულ შეცდომებს, ცდილობს დაამკვიდროს კადრების შერჩევისა და დაწინაურების ლენინური სტილი.

როგორც „კომუნისტის“ ფურცლებზე გამოქვეყნებულ წერილებშიც ბევრი ავტორი აღნიშნავს, პარტიულ მუშაობაში ერთ-ერთი მთავარი და გადამწყვეტია მიღებულ დადგენილებათა შესრულებაზე მტკიცე და ქმედითი კონტროლის დაწესება. ჩვენთან ნინათ, სამწუხაროდ, ეს ლენინური დებულებაც ირღვეოდა. ვერ ვაღწევდით მიღებული დადგენილებებ ბოლომდე შესრულებას. ამიტომ როცა გამჩენვდით, რომ მდგომარეობა ისევ არასახარბიელო იყო, კვლავ ახალ დადგენილებას ვიღებდით. მაგალითად, უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიუროსა და საქალაქო საბჭოს ხელმძღვანელობამ ექვსჯერ ჩავარდა ბოლოსმოყოლილ ბუნების დაცვის საკითხებზე. ზონის ინსტრუქტორებს ვალდებულად ვხდით შეუნელებლად ადევნონ თვალყური დადგენილების ყველა პუნქტის განუხრელად შესრულებას, დაეხმარონ პარტიულ და სამეურნეო ორგანიზაციებს ნაკლოვანებათა გამოსწორებაში. ვფიქრობთ, მომავალში დაგვჭირდება უფრო ქმედითი გზებისა და მეთოდების ძიება, რათა განუხრელად შესრულდეს ყველა მიღებული დადგენილება და გადაწყვეტილება.

მეტად საყურადღებოა შესრულების შემოწმებისა და კონტროლის ქუთაისელთა გამოცდილება. მისი ჩვენთან გავრცელება უთუოდ კარგ ნაყოფს გამოიღებს. გადავწყვიტეთ მოგვეწყო საინფორმაციო ცენტრი, მაგრამ ზოგიერთ ტექნიკურ საშუალებათა უქონლობით საქმე ბოლომდე ვერ მივიყვანეთ. ალბათ ჩვენს დღეში სხვებიც არიან. ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია პრაქტიკულად დაგვეხმარონ პარტიის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს ერთიანი საკონტროლო-საინფორმაციო ცენტრების ტექნიკურ აღჭურვილობათა დადგმა-დამონტაჟებაში.

თ. კუბლაშვილი,
საქართველოს კომპარტიის ტყიბულის საქალაქო კომიტეტის სარეგანიზაციო განყოფილების გამგე.

ეტაპიცე, ქმედითი კონტროლი

გამოვიყენოთ ორგტექნიკის საშუალებები

ბუნების დაცვის ტაქტიკა და სტრატეგია

ბუნების დაცვის პრობლემები და მათი გადაწყვეტა ტაქტიკური ამოცანაა. თვითეული მათგანი თანაბარად მნიშვნელოვანია, აქასთანავე ორსებითიც. ახლა განსაკუთრებით დიდი ყურადღება ექცევა ბიოსფეროს გაჭუჭყიანების შესწავლას. გარემოს გაჭუჭყიანების მთავარი წყაროებია: მრეწველობა, ტრანსპორტი, საყოფაცხოვრებო და ქიმიური ნარჩენები, რადიაციული ფონის ამაღლება. მათი უვნებელყოფა, გარემოს გაჭუჭყიანებისაგან დაცვა შოითხოვს გამწენდნი ნაგებობების შენებლობას, სამრეწველო ჩამონადენების გაწმენდის ეფექტური მეთოდების დანერგვას, ტოქსიკური ნივთიერებების ნორმირებას, მწვავე ნარგავების გაშენებას.

ბიოსფეროს გაჭუჭყიანებასთან არის დაკავშირებული ბუნების დაცვის სამედიცინო პრობლემებიც. გარემოს გაჭუჭყიანებას (რადიაცია, შხამქიმიკატები) შეიძლება მოჰყვეს მემკვიდრეული გადახრები, ანომალიები, რაც ზშირად თავს იჩენს ახალგაზრდობაში. ამ საქმის გადაჭრისათვის საჭიროა დროული დიაგნოსტიკა, გამომწვევი მიზეზების ძიება და სამედიცინო და ბიოლოგიური ტაქტიკის ჩამოყალიბება. ეს კომპლექსური პრობლემაა, სადაც გადამწყვეტი როლი გენეტიკოსებს ეკუთვნით.

დიდად საინტერესოა გენოფონდის, ანუ არსებული მცენარეების და ცხოველების შენარჩუნების პრობლემა. ბუნებაში არ არსებობს სასარგებლო და მავნე ორგანიზმები. ხანგრძლივმა ევოლუციამ უკვე დიდი ხანია მოიცალა „არასასურველი“ სახეობები. გენოფონდის შემცირების ძირითად მიზეზებად ზაითვალოს ბრაკონიერობა, „შეწუხების ფაქტორები“ ცხოველების ბუნებრივ ადგილსამყოფელოებში. მუდმივი სარგებლობის პრინციპის ეგულებელყოფა, გარემოს ჰარმონიულობის დარღვევა და ა. შ. ჩვენი ფაუნის არასახარბიელო მდგომარეობის გამოსასწორებლად საჭიროდ მიგვაჩნია, რომ სათანადო ორგანიტების მიერ ბეწვეულის დამზადების რაოდენობისა და სახეობების განსაზღვრა ხდებოდეს „მონაკვეთრთან“ შეთანხმებით. უურადღება უნდა მიექცეს სავოლიერო მეურნეობის განვითარებას, ნადირმცოდნეთა კადრების მომზადებას, ბრაკონიერებთან ბრძოლას, მსხვილი კომპლექსური და სარეზერვო მეურნეობების ორგანიზაციას, შხამქიმიკატების გონივრულ შენახვას, სწორ ტრანსპორტირებას, გამოყენებას.

ჩვენთვის, როგორც მთიანი და შეირე მიწიანი რესპუბლიკისათვის, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ნიადაგის დაცვას. მოკვეთილ რესპუბლიკებს შორის საქართველო ტერიტორიის მიხედვით მეათეა. ხოლო მოსახლეობის სიმჭიდროვით მეოთხე. ადგილი უჭირავს. საბჭოთა კავშირში ერთ სულ მოსახლეზე საშუალოდ 0.37 ჰექტარი სახნავი მიწა მოდის, ჩვენს რესპუბლიკაში კი — 0,14 ჰექტარი. 1940 წლიდან 1970 წლამდე სახნავი მიწების ფართობი 25 პროცენტით შემცირდა. ამის ძირითად მიზეზებად უნდა ჩაითვალოს ეროზია, ადვილად დასამუშავებელი და მაღალნაყოფიერი მიწების დათმობა მრეწველობისათვის, მშენებლობებისათვის და სხვ.

ამ ბოლო დროს ერთგვაროვან გაუმჯობესდა წყლის რესურსების დაცვა. თითქმის ყველა ქალაქსა და რაიონს აქვს წყალსადენები მშენებლობის გეგმა. გაუმჯობესდა წყალსაცავების სანიტარიული დაცვის მდგომარეობაც. 1972-75 წლებში საექსპლოატაციოდ გადაეცა ჩამდინარე წყლის გამწმენდი თითქმის 70 ნაგებობა და დანადგარი. ბევრ დიდ საწარმოში ხდება ჩამდინარე წყლებიდან ძვირფასი პროდუქტების ამოღება. მარტო შარშან ამ პროდუქტების საერთო ღირებულებამ 3 მილიონი მანეთი შეადგინა. შემცირდა მტკვრის გაჭუჭყიანება რუსთავის ფარგლებში, ბევრი საწარმო გადავიდა წყლის გამოყენების დახურულ ციკლზე.

ზოგიერთ ქალაქსა და დაბას არა აქვს წყალსადენი. დიდია სასმელი წყლის დანაკარგები. მაგალითად, თბილისში იგი 14 პროცენტს შეადგენს, რუსთავში — 12 პროცენტს, ქუთაისში — 11,5 პროცენტს. ბევრგან გამწმენდი ნაგებობები გადატვირთულია და არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში იმყოფება. შავი ზღვა კიდევ ჭუჭყიანდება ზღვისპირა საკანალიზაციო წყლებით.

ბუნების დაცვის საქმეში მეტად მნიშვნელოვანია ურბანიზაციის ფაქტორის გათვალისწინება. როგორც ცნობილია, სწრაფად მიმდინარეობს ქალაქების ზრდა და მათი მნიშვნელობის ამაღლება ქვეყნის ცხოვრებაში. საქართველოს მოსახლეობა 1921 წლიდან 1966 წლამდე 88,5 პროცენტით გაიზარდა. ქალაქის მოსახლეობის ზრდა 350 პროცენტს შეადგენს, სოფლისა — მხოლოდ 24,4 პროცენტს. ქალაქების შემდგომი ზრდის ტენდენცია სრულებით კანონზომიერია. მაგრამ ბუნებრივი ეკოსისტემები (ტყე, სტეპი, სავანა და სხვა) სტაბილურია. ეს იმით აიხსნება, რომ ამ სისტემებში საერთო ბიომასის 98-99 პროცენტი ფლორაზე მოდის, რომელიც პირველადი პროდუქციის — ორგანული ნივთიერებებისა და ჟანგბადის მწარმოებელია, ხოლო 1-2 პროცენტი — ფაუნაზე, რომელიც პირველად პროდუქციის იყენებს. ადამიანის ჰარმონიულ განვითარებას განსაზღვრავს პირველადი პროდუქციის მწვავე უკმარისობა. ერთ-ერთ გზად რჩება — ქალაქების ეფექტური გამწვანება და მათ ირგვლივ მწვანე ზონების შექმნა.

ბუნების დაცვის პრობლემათა შორის მთავარია აგრეთვე წყალის ანუ აღუდგენადი რესურსების რაციონალური და კომპლექსური გამოყენება. საქართველოს სამთომომპოვებელ და გამამდიდრებელ საწარმოებში 1975 წლისთვის დაგროვილი იყო 20 მილიონი ტონა ნარჩენი, რომლის ყოველწლიური მატება რესპუბლიკაში 4 მილიონ ტონას აღემატება. უდავოა, რომ ამ ნარჩენების გამოყენება სახალხო მეურნეობის დიდ ეკონომიურ ეფექტს მისცემს. მნიშვნელოვანია აგრეთვე მიწების რეკულტივაცია. ბევრი წარმატებაა მოპოვებული. მაგრამ ამ საქმეში ჯერ კიდევ იგრძნობა სერიოზული ნაკლოვანებები.

არსებითი მნიშვნელობა აქვს ოპტიმალური ლანდშაფტების შექმნის პრობლემას. ფართო მასშტაბით წარმოებს ხელოვნური ტყეებისა და პარკების გაშენება. ადამიანის მიერ ბუნებრივი ლანდშაფტების შეცვლისს მთავარია ოპტიმალური ლანდშაფტის შექმნა — ჯიშების სწორი შერჩევა, ტყიანი და უტყეო ფართობების ეფექტური თანაფარდობის ტაცვა, პარკების ტიპის დადგენა და სხვ.

პრაქტიკა ცხადყოფს, რომ რესპუბლიკაში ბუნების დაცვის კანონმდებლობა ზშირად ირღვევა, რასაც სათანადო ორგანოებმა სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ. საგულისხმოა ის, რომ სასამართლო სტატისტიკაში ფაქტიური მდგომარეობა ასახული არ არის. სისხლის სამართლის კოდექსში ბუნების დაცვის შესახებ არსებითი 8 მუხლიდან 3 მოქმედებაშია მხოლოდ სამი.

ბუნების დაცვის საკითხებში ჩვენი მიღწევები ზემოთ ჩამოთვლილი ტაქტიკური ხასიათის პრობლემების მეტ-ნაკლებად გადაჭრით შემოიფარგლება. მაგრამ ბევრია დამოკიდებული სწორი სტრატეგიული ამოცანის შემუშავებაზე. ბუნების დაცვის სტრატეგია მონიტორინგის ორგანიზაციაშია.

თ. ურუშაძე,
გეოგრაფიის მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატი.

ჩვენ და გარეშენი

დიდი საქმე

ბუნების დაცვის ტაქტიკა და სტრატეგია

ციხეფრი ალის სიკეთით

ბურჯაანი. (საკ. კორ.). კახეთის თითქმის ყველა რაიონამდე მიაღწია ბუნებრივმა გაზმა და ბევრი ოჯახი სარგებლობს ციხეფრი ალის სიკეთით. მაგრამ ჯერ კიდევ დიდია მოთხოვნილება თხევად გაზზე. თხევადი გაზით მოსახლეობის მომარაგებას ემსახურება გურჯაანის გაზგანაწილებელი საადგური, რომლის კოლექტივი წარმატებით ასრულებს ამ საპატიო დავალებას.

სადგურმა მეათე ხუთწლედის პირველ ექვს თვეში მომხმარებლს მიაწოდა 6.166,4 ტონა თხევადი გაზი, რაც გეგმით გათვალისწინებულთან შედარებით 188 ტონით მეტია. ნახევარ წელიწადში თხევადი გაზის ბუნებრივი დანაკარგები გეგმით ნაგარაუდევთან შედარებით შემცირებულია 5,2 ტონით, ხოლო ზეგეგმითმა მოგებამ 3.576 მანეთი შეადგინა.

საუბარი საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოში

8 ხელემბერს საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს ეწვია ბელგიის პარლამენტის დელეგაცია, რომელიც სტუმრად არის თბილისში წარმომადგენელთა პალატის თავმჯდომარის ანდრე დეკერის მეთაურობით.

გაიმართა მეგობრული საუბარი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარესთან ა. ბ. ბაბაიძესთან.

საუბარში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ვ. ლაშქარაველი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ფ. ა. ინანიაშვილი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს ახალგაზრდობის საქმეთა კომისიის წევრი ვ. შ. კოტეშვილი.

საუბარს დაესწრნენ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვ. ა. ნოფიკაშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ნ. ა. ლანდია, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საქმეთა მმართველის მ. ა. ჭიკვინაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საქმეთა მმართველის მოადგილე შ. ა. ჭიკვინელი, საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე ნ. ბ. რუხაძე.

* * *

9 სექტემბერს ბელგიელმა პარლამენტარებმა დათვალიერეს საბჭოთა მეურნეობა „ვარკეთილი“, შამპანური ღვინოების ქარხანა, ყვავნენ მცხეთაში, საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში.

საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ დარბაზობა გაუმართა ბელგიის პარლამენტის დელეგაციის წევრებს. (საქინფორმი).

„კომუნისტს“ უპასუხებენ

საქართველოს სსრ სოფლის მშენებლობის სამინისტრო

გაზეთ „კომუნისტის“ მიმდინარე წლის 17 აგვისტოს ნომერში დაიბეჭდა კრიტიკული წერილი — „დრო ცოტაა... მოესწრება?!“, რომელიც შეეხებოდა ადიგენის რაიონის სოფელ უდის საშუალო სკოლის მშენებლობის ნაკლოვანებებს, ნელ ტემპს, არაორგანიზებულ სამუშაოებს. ეს ნაკლოვანებები კი იმის საფრთხეს ქმნიდა, რომ 1 სექტემბერს აქ სწავლა ვერ დაიწყებოდა.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის მინისტრის მოადგილე ჯ. სიხარულიძე რედაქციას აცნობებს:

გაზეთ „კომუნისტის“ ამა წლის 17 აგვისტოს ნომერში დაბეჭდილი სტატიის გამო — — „დრო ცოტაა... მოესწრება?!“, რომელიც ადიგენის რაიონის სოფელ უდეში სკოლის მშენებლობის საკითხს შეეხება, გაცნობებთ, რომ 758 მოსწავლისათვის გათვალისწინებული აღნიშნული სკოლის მშენებლობა დამთავრდა და გადაცემულია საექსპლოატაციოდ.

ცეკავშირის გამგეობა

„კომუნისტის“ ამა წლის 2 ივნისის ნომერში დაიბეჭდა კრიტიკული წერილი — „რისთვის აშენდა ქარხანა“. ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ ვ. ფირანიშვილმა რედაქციას აცნობა, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს შეეფერება.

დადგენილია, რომ ცხინვალის შესაფუთ ქარხანაში, რომლის მშენებლობა 1971 წელს დაიწყო, დღემდე არ დაუმთავრებიათ პროექტით გათვალისწინებული ყველა სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაო, დამონტაჟებული არ არის ხილის დამუალიბებელი ხაზები, რის გამოც ხილის მიღებაგადამუშავება ხელით ხდება. ჯერ კიდევ არ არის მიღებული პროექტით გათვალისწინებული საჭირო მანქანა-დანადგარების მთელი კომპლექტი. მიღებული დანადგარების ნაწილი მოუვლელობის გამო გაფუჭებულია და სხვ.

ცეკავშირის გამგეობამ მიმდინარე წლის 19 აგვისტოს თავისხდომაზე განიხილა აღნიშნული საკითხი. ქარხნის მშენებლობის პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების სრულყოფილი დამთავრებისათვის სამხრეთ ოსეთის საოლქო კოპკავშირის დამზადების სამმართველოს დამატებით გამოეყო 20,0 ათასი მანეთი, ხილის დამუალიბებელი ერთ უნგრული ხაზი და სხვადასხვა ვვარი ხაშენი მასალა. შესაბამის სამშენებლო სამმართველოს დაევალა ცხინვალის ხილის შესაფუთ ქარხანაში მიავლინოს სპეციალისტები ხაზის დასამონტაჟებლად.

სამხრეთ ოსეთის საოლქო კოპკავშირის დამზადების სამმართველოს კატეგორიულად აეკრძალა დამატებითი პუნქტების გახსნა და მიეცა მკაცრი მითითება ცხინვალის რაიონში დამზადებული ხილი გადასამუშავებლად მთლიანად ჩააბაროს ქარხანას.

ქარხნის მშენებლობაზე ხუსტი კონტროლისა და ხელმძღვანელობისათვის სამხრეთ ოსეთის საოლქო კოპკავშირის გამგეობის თავმჯდომარე ი. ვალიევი და დამზადების სამმართველოს უფროსი ი. თედიევი მკაცრად გააფრთხილეს. მათვე დაეგალათ შეისწავლონ ცხინვალის ხილის შესაფუთი ქარხნისათვის მიღებული მანქანა-დანადგარების დაუმონტაჟებლობის შედეგად დანადგარების ნაწილის გაფუჭების მიზეზები და დამნაშავე პირები მისცენ სიხსნის სამართლის პასუხისგებაში.

გამოგონებლის ფრთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ჩაის ხარისხისათვის

ოთელი ადამიანი, რომელიც განვლილ გზას გაიხსენებს, უნებურად ეკითხება თავის თავს, — რა გააკეთა ქვეყნისათვის, რა შემატა საერთო საქმეს. ინჟინერ-ტექნოლოგ მიხეილ ვეიბერიძეს გარჯას, მის ნააზრევს უქმად არ ჩაუვლია. მიხეილმა 1974 წლის აგვისტოში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გამოგონებებისა და აღმოჩენების სახელმწიფო კომიტეტისაგან მიიღო საავტორო მოწმობა „ბაიხაოს ჩაის ნახევარფერმენტაციის დამზარისხებლის უწყვეტი ნაკადური ხაზის გამოგონებისათვის“. ამაკე მოწმობაში მოცემულია ნაკადური ხაზის სქემა და აღწერილობა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ჟურნალში „აღმოჩენები, გამოგონებები, საწარმოო ნიმუშები“ 1975 წლის მეხუთე ნომერში საუბარია მ. ვეიბერიძის მიერ შექმნილ ნაკადურ ხაზზე. როგორც ვხედავთ, მ. ვეიბერიძეს სასწაული არ მოუხდენია, მაგრამ მსოფლიოს ჩაის მრეწველობაში ახალი სიტყვა თქვა, რომელმაც ქვეყანას კარგი სამსახური გაუწია. იგი განსაკუთრებით ეფექტიანად გვესახება ახლა, როცა პარტიამ მეჩაიეებსა და ჩაის მრეწველობის მუშაკებს პროდუქციის ხარისხის ამაღლების დიდი ამოცანა დაუსახა.

გამარჯვება ილოდ არ მოსულა. ეს იყო ოცდახუთი წლის ფიქრისა და ძიების ნაყოფი. მიხეილი განვლილ წლებსა და დაძაბულ შრომას ჭეიტარით შეუეარცხლავს, მაგრამ იმდენად ძლიერი აქვს ძიების სურვილი, რომ 60 წლისაც ჩვეული ახალგაზრდული ენერგიით შრომობს.

ჩაის გადამუშავების ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესებაზე ფიქრში ათობით გამომგონებელსა და რაციონალიზატორს უთანებია ლამეები. კომბაინებს, რომლებშიც გადამუშავების, დახარისხების პროცესები მიმდინარეობდა, მრავალი ხარვეზი ჰქონდა. მაგალითად, პროდუქცია შვიდჯერ უნდა ვაეტარებინათ სხვადასხვა გამნაკვეთელ და დამხარისხებელ მანქანაში, რომ იქიდან ჯიბები, ფირფიტები, მტვერი და სხვა მინარევები გამოყოფილიყო. ეს ტექნოლოგიური პროცესებს ართულებდა და დიდ დროს მოითხოვდა. საჭირო იყო ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესება, სიახლეთა დანერგვა, უფრო სრულყოფილი მექანიზმის შექმნა. მაგრამ როგორ?

ხანგრძლივ ძიებას შედეგად მოჰყვა. მიხეილმა კომბაინის სხვაგვარი კონსტრუქცია მოიფიქრა — მოდერნიზებულ კომბაინს 6 ეკანში უნდა დამატებოდა და დახარისხების უწყვეტი ნაკადი შექმნილიყო. და აი შექმნეს ნახაზი, ყველაფერი გაიანგარიშეს. შემდეგ კი დეტალების დამზადება თვითონ დაიწყო. ორი წელი დასჭირდა ახალი ნაკადური ხაზის აწყობას და ჩაქვის №2 ჩაის ფაბრიკაში გამოცდა დაინიშნა, რომელსაც ჯარი შედეგი მოჰყვა. ეფექტი აშკარა იყო: სამჯერ შემცირდა დროის რეჟიმი, ორმაგად გაიზარდა შრომის ნაყოფიერება და დასახარისხებლად საჭირო აღარ იყო სხვადასხვა მანქანაში ნედლეულის შვიდჯერ გატარება. ავტომატურმა ხაზმა მძიმე შრომისაგან მუშახელიც გამოათავისუფლა. ასე შეიქმნა ძველი კომბაინის მოდერნიზაციით დახარისხების ერთიანი სისტემა. ახალმა ხაზმა არა მარტო ამაღლა საწარმოს წარმადობა, არამედ უმაღლესი და პირველი ხარისხის პროდუქციის გამოსავლიანობაც მნიშვნელოვნად გაზარდა.

ასეთი მონაკვეთების შემდეგ ახალი ნაკადური ხაზი თითქოს უმალვე უნდა დანერგილიყო, მაგრამ ასე არ მომხდარა. გამოგონებელს დიდი ბრძოლა დასჭირდა მისი დანერგვისათვის. ბოლოს, როგორც იქნა, 1974 წლიდან მ. ვეიბერიძის ნაკადური ხაზი მახობრივად დაინერგა. იგი მოიწონა გამოგონებებისა და აღმოჩენების სახელმწიფო კომიტეტმა, ამაში გამომგონებელს საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს ხელმძღვანელობა დაეხმარა.

რა დასამალია, რომ ზოგიერთ მეურნეობაში რაოდენობრივი მაჩვენებლის გამოდევნებამ ჩაის ხარისხზე იმოქმედა, სახელგანქმულ ქართულ ჩაის სახელი გაუტეხა. ხარისხის გაუმჯობესების ეერება, დასახარისხებლად საჭირო აღარ იყო სხვადასხვა მანქანაში ნედლეულის შვიდჯერ გატარება. ავტომატურმა ხაზმა მძიმე შრომისაგან მუშახელიც გამოათავისუფლა. ასე შეიქმნა ძველი კომბაინის მოდერნიზაციით დახარისხების ერთიანი სისტემა. ახალმა ხაზმა არა მარტო ამაღლა საწარმოს წარმადობა, არამედ უმაღლესი და პირველი ხარისხის პროდუქციის გამოსავლიანობაც მნიშვნელოვნად გაზარდა.

ეს შარშან მოხდა. „ოქროსიმ გაუმჯობესებული ავრეგატი მოიწონა და წლიულს უკვე ქობულეთის ჩაის ფაბრიკების გაერთიანებაში საექსპლოატაციოდ გადაეცა.

მ. ვეიბერიძე ამჟამად ქობულეთის ჩაის ფაბრიკების გაერთიანების ახალი ტექნიკისა და გამოგონებების დარგის უფროსი ინჟინერია. იგი კვლავაც ოცვწის იმისათვის, რომ ახალი რამ შემატოს საქართველოს ჩაის მრეწველობას.

მ. გორგილაძე,
„კომუნისტის“ ხაკ. კორ.



საგარეჯოელ მეფრინველეებთან

თექვსმეტი კოლმეურნეობის მეფრინველეობის ფერმის ბაზაზე შექმნილ საგარეჯოს საკოლმეურნეობათშორისო მეფრინველეობის ფაბრიკაში ამჟამად 100 ათასი ფრთა ფრინველია. მათ შორის 25 ათასი ფრთა — მოქცეული. ეს ფაბრიკა წლეულს სახელმწიფოს ჩააბარებს 4 მილიონ ცალ კვერცხს. აღსანიშნავია, რომ ამ გაერთიანების შექმნამდე ათასი კვერცხის თვითღირებულება 160 მანეთს შეადგენდა, ახლა კი 70 მანეთს არ აღემატება.

სურათებზე: მეფრინველეები — კომკავშირელი მარინე ზუკაკაშვილი (მარცხნივ) და ბაბულია გურგენიძე, რომლებმაც საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ფაბრიკაში დაიწყეს მუშაობა; კვერცხის დამზარისხებელი ლალი ცხვარიაშვილი; ფაბრიკის საერთო ხედი.

ი. დავითაშვილის და შ. კრიმსკის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ვიყოთ ობიექტურნი

უმაღლესი სასწავლებელი და ცხოვრება

დღეს, როდესაც გრძელდება უკომპრომისო ბრძოლა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ, დიდი მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოებრივ აზრს, კოლექტივის ყველა წევრი ინგარიშს უნდა უწევდეს მას და თავისი საქმიანობით ხელს უწყობდეს ჯანსაღი ატმოსფეროს შექმნას.

უმაღლესი სასწავლებელი ყველასთვის სიწმინდისა და პატიოსნების სარკე უნდა იყოს, ამ მიმართულებით მისი ავტორიტეტისათვის ბრძოლა სასწავლებლების თანამშრომელთა გარდა მთელ საზოგადოებრიობას ევალება. თუ ახლო წარსულის სინამდვილეს საღი თვალით გადავხედავთ, ბევრ უმაღლეს სასწავლებლში იყო დარღვევები. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ აღებული სწორი კურსის თანმიმდევრულმა განხორციელებამ მდგომარეობა მნიშვნელოვნად შეცვალა. ჩვენ ამას როდი ვამტკიცებთ, რომ დღეს ყველაფერი წესრიგშია, რომ დამთავრდა ბრძოლა და შეგვეძლია გულდამშვიდებით მივყეთ მოგულენთა მსვლელობას, მაგრამ ის დადებითი მკრნი, რისი გაკეთებაც ამ უკომპრომისო ბრძოლაში მოსწრეს რესპუბლიკის მშრომელებმა, ობიექტურ შეფასებას მოითხოვს.

ჩვენი წერილი ნაკარნახევია იმ პროცესების შესწავლით, რომლებიც იყო რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში და, კერძოდ, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტში.

ინსტიტუტის ხელმძღვანელობა ავგისტოს გამოცდებისათვის მზადებას წლის დასაწყისში შეუდგა, როდესაც დავამთავრეთ მისაღები გამოცდები დაუსწრებელ სწავლებაზე. ჩვენ შევისწავლეთ აბიტურიენტთა წინა წლების საკონკურსო მასალები და გამოირკვა, რომ ინსტიტუტში დაბალი მომზადების მქონე ახალგაზრდობა მოდიოდა. საშუალო საატესტატო ბალი 3,1-ს არ აღემატებოდა, ხოლო მიღების გეგმა წლიბით ვერ სრულდებოდა. დაბალი მომზადების კონტინგენტი გავლენას ახდენდა ინსტიტუტის საერთო აკადემიურ მაჩვენებელზე. მარტო პირველი კურსიდან უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში ძირითადად აკადემიური დავალიანების გამო ასზე მეტი სტუდენტი გაირიცხა, რაც უარყოფით გავლენას ახდენდა სპეციალისტების გამოშვების გეგმების შესრულებაზე.

ინსტიტუტის ხელმძღვანელობა იმ დასკვნამდე მივიდა, რომ შესაბამისი კონტინგენტის მისაზიდავად საჭიროა, უპირველეს ყოვლისა, ინსტიტუტის პოპულარიზაცია. იგი თავისი პროფილით და მიმართულებით ერთადერთია არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მთელ სოციალისტურ სისტემაში, მისი მომსახურების ზონა დასავლეთ საქართველოს, აზერბაიჯანისა და კრასნოდარის მხარის სუბტროპიკული რაიონები. ჩვენს ინსტიტუტში კვალიფიკაციას იმაღლებენ უცხოელი ასპირანტები, ინსტიტუტს საქმიანი კონტაქტები აქვს დამყარებული საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრებთან.

ინსტიტუტში ჩვეულებრივ მოვლენად იყო გაქანურებული მშენებლობები და რემონტები, დაწყებული საქმის შუაგზაზე მიტოვება, მლიქვნელობა და მაამებლობა. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ იმ უწყებებმაც კი, რომლებიც მოვალენი არიან სწორად იცოდნენ ინსტიტუტის ხელწოდება, კორესპონდენციებს ყოველთვის როდი გზავნიდნენ სწორი მისამართით. ინსტიტუტის რექტორატმა და პარტიულმა ორგანიზაციამ, უბირველეს ყოვლისა, ამ მიმართულებით გადადგეს რეალური ნაბიჯები, ჩვენ „თავი შევახსენეთ“ შესაბამის ორგანოებს, და ყურადღება მოგვეთხოვეთ. ჩვენ ვიცით, რომ საკერძოა საზოგადოებისათვის თავის შეხსენება არა მარტო მოთხოვნებით, არამედ საქმიანობით. ამ მიზნით ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლები მოხსენებებით გამოვიდნენ ჩვენი მომსახურების რაიონებში, გავაძლიერეთ საშეფო მუშაობა. შესაფერისი კონტინგენტის მიზიდვის მიზნით ინსტიტუტის წამყვანი პროფესორ

რა არის დავიმორჩილოთ მიწისძვრა

ჩვენი ინტერვიუ

განიხილავენ თანამედროვე სეისმომედეგობის აქტუალურ პრობლემებს

თბილისში მუშაობა დაამთავრა საკავშირო სამეცნიერო სესიამ, რომელიც სეისმომედეგობის აქტუალურ პრობლემებს მიეძღვნა.

„კომუნისტის“ კორესპონდენტი ეწვია სესიის მონაწილეებს — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტის დირექტორს ბ. ბალავაძის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტის დირექტორს ბ. ზავრიევს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს ი. რუზინოვსკის, გეოლოგიო-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ბ. გიორგიშვილს და სთხოვა მათ სესიის მიზნები და შედეგები რამდენიმე სიტყვით გაეცნოთ ჩვენი გაზეთის მკითხველებისათვის.

აი რა თქვეს მათ:

ბ. ბალავაძე — დამანგრეველი მიწისძვრების ადგილმდებარეობის, ძალისა და დროის განსაზღვრა სეისმოლოგიური მეცნიერების ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა. თანამედროვე ქალაქებისა და მსხვილ საინჟინრო-ტექნიკურ ნაგებობათა შშენებლობის პირობებში უს ამოცანა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

სამი ათეული წლის წინათ აშხაბადის კატასტროფული მიწისძვრის შემდეგ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან ჩამოყალიბდა სეისმოლოგიისა და სეისმომედეგობის საბჭო, რომელსაც სხვა საკითხებთან ერთად ჩვენს ქვეყანაში, სეისმოლოგიურ გამოკვლევათა კოორდინაციაც დაეკალა.

სრულიად კანონზომიერია, რომ ეს სესია კავკასიის რეგიონზე მოეწყო, რომელიც სეისმურად აქტიური უბანია. კავკასიის დიდი ქალაქები, მსხვილი საინჟინრო-ტექნიკური ნაგებობანი, ისინი, ამავამად რომ შენდება, ან დაპროექტების პროცესშია, მოთავსებულია მიწისძვრების კერების ზონაში.

ამ მხრივ დიდია ჩვენი სესიის მნიშვნელობა, აქ მიღებული გადაწყვეტილებები და რეკომენდაციები ხელს შეუწყობს სეისმური, სეისმოტექნიკური და საინჟინრო სეისმოლოგიის, ისე როგორც სხვა გეოფიზიკური გამოკვლევების შემდგომ განვითარებას. ამ გამოკვლევებს შორის მიწისძვრის დროის პროგნოზი ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა.

ბ. ზავრიევი — ჩვენს ინსტიტუტში იკვლევენ საინჟინრო სეისმოლოგიის საკითხებზე — შენობა-ნაგებობების სეისმომედეგობის, გაანგარიშების მეთოდების შექმნისა და სრულყოფის საკითხებს.

კვლევის შედეგებს წარმატებით იყენებენ პრაქტიკაში. ინსტიტუტი აქტიურად მონაწილეობს სეისმომედეგი შენებლობის ნორმების შედგენაში, სოლო სეისმომედეგობის გაანგარიშების მეთოდები ინერგება საპროექტო ორგანიზაციებში. მაგალითად, თაღოვანი კამზლების სეისმომედეგობის გაანგარიშების მეთოდი გამოყენებულია ენგურის თაღოვანი კამზლის ტექნიკური პროექტის დამუშავებისას და ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის ტექნიკურ-ეკონომიური დასაბუთების დროს.

დიდი მუშაობა წარმოებს სატრანსპორტო, წყალგამტარი, სამელიორაციო და სხვა ქსელური ნაგებობების კვლევის საკითხებზე. ამ პრობლემებით ინსტიტუტი მოთავე ორგანიზაციაა მთელი კავშირის მასშტაბით და კოორდინაციას უწევს 14 სამეცნიერო-საკვლევ, საპროექტო და სხვა დაწესებულებებს. სესიაზე ამ პრობლემის ირგვლივ მოხსენებებით გამოვიდნენ ჩვენი ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლები, რომელთა კვლევის შედეგებს გამოიყენებენ ბაიკალ-ამურის magისტრალის დაპროექტებისას.

ი. რუზინოვსკი — ჩვენში დაამუშავეს „სეისმური ძვრების“ თეორია, რომელიც საშუალებას იძლევა გაანგარიშოთ დედამიწის ზედაპირის ყოველი პუნქტისათვის არა მარტო მაქსიმალური ინტენსივობა, არამედ ყველა მოსალოდნელი სეისმური ბიძგის საშუალო სიხშირე. აქ მარტო მაქსიმალური კი არა, შედარებით სუსტი და დამანგრეველი ბიძგებიც იგულისხმება. სუსტი ბიძგები უფრო ხშირია, ვიდრე ძლიერი, ამიტომ ისინი უფრო სახიფათოა.

საქართველოში და ამიერკავკასიის სხვა რესპუბლიკებში შესრულებულ სამუშაოს, რომელიც მიწისძვრის პრობლემებს ეხება, ღირსეული წვლილი შეაქვს და დიდი ადგილი უჭირავს იმ სამუშაოთა შორის, რაც ამ მიმართულებით კეთდება სსრ კავშირსა და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში.

ბ. გიორგიშვილი—აღსანიშნავია, ის რომ კავკასია კარგად არის შესწავლილი. ამას ცხადყოფს, თუნდაც ახლახან დამთავრებული კავკასიის სეისმოლოგიური დარაიონების ახალი რუკა. მის შესადგენად მოძმე რესპუბლიკებში მოიძებნა სეისმოლოგიის, გეოფიზიკის, საინჟინრო და სამშენებლო სეისმოლოგიის დარგების მაღალკვალიფიციური ბევრი სპეციალისტი, რომელთა ერთობლივი შრომით შესაძლებელი გახდა რუკის ვადაზე ადრე დამთავრება, ეს რუკა წინანდელისაგან საგრძნობლად განსხვავდება საუკეთესო წმინდა მეცნიერული ღირსებით.

ჩვენ, მოსკოველები დიდი კმაყოფილებით აღვნიშნავთ კავკასიის რესპუბლიკებში გეოფიზიკური მეცნიერების მიღწევებს და მის შემოქმედ მეცნიერებს დიდ წარმატებებს ვუსურვებთ.

დანაშაულის კვალდაკვალ

სოფლის ჭურჭები

ჭირნახული! აბა კარგად დაუკვირდით ამ სიტყვას! მრავალ ჭირსა და ქარცეცხლში გამოვლილმა ქართველმა კაცმა გლეხკაცის მიერ მოყვანილ მოსავალს ჭირნახული უწოდა. მართალკაცი, რამდენი შრომა, ჯაფა და ოფლია ჩაღვრილი მის მოწევაში. მუშა კაცი ხნავს, თესავს, ფარცხავს, მკის იმიტომ, რომ ოჯახი, ქვეყანა გაახაროს, ხვავი და ბარაქა არ მოაკლოს, ღოვლათი და სიმდიდრე შესძინოს...

უნდა მოსავლით ხარობს მშრომელი და სულ იმის ცდაშია, ჭირნახული უდანაკარგოდ მიიტანოს ბეღლებამდე. ტყუილად კი არ ამბობენ, მოსავალი ის არის, რაც ბეღელშიაო. მაგრამ ვის ბეღელში მიჰქონდათ ხაშურის მინის ტარის ქარხნის თანამშრომლებს ა. ესაკიასა და გ. ხარაზიშვილს ას ოცი კილოგრამი ხახვი? არ იფიქროთ, რომ ეს ხახვი ამ ვაუბატონებს მოეყვანოთ. არა, მათ სურამის კოლმეურნეობასთან არავითარი საერთო არა აქვთ. ისინი წამგლეჯები და ქურდბაცაცები არიან, თორემ პატიოსანი კაცი როგორ იფიქრებს ან როგორ წარმოიდგენს, რომ სხვისი ნაოფლარი მითვისოს.

გორის რაიონის სოფელ ტირძნისში მცხოვრებ ნ. დეკანოზს შრომა არაფრად ეპიტნავება. მას თვალი სულ იქით უჭირავს, ვის რას გამორჩეს და ჯოლმეურნეობაში მუყაითი შრომას შორ გზებზე წანწალი ურჩევნია. მან გორის №9 ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლთან ნ. ფალელაშვილთან ერთად სახელმწიფო ავტომანქანა ოთხი ათასი კილოგრამი ხორცლით დატვირთა და ზესტაფონისაკენ გაუყენა გზას. ვისია ოთხი ტონა ხორცალი და რა გზით ჩაუვარდა მათ ხელში, ამას ალბათ გაარკვევენ. ისიც საკითხავია, რა დონეზე დგას ავტოსატრანსპორტო საწარმოში შრომის დისციპლინა, ასე ადმა-დადმა თუ დაძრწიან მათი ავტომობილები?

სოფლის მეურნეობის პროდუქტების ქურდება და მიმთვისებლობა სხვადასხვა მეთოდი აქვთ შეთუსაბებული, თუ როგორ დაიტაცონ სახალხო დოვლათი. მაგალითად, შოფერი ი. ვოსკანოვი სახელმწიფო ტაქსიარეთ მანქანაზე მუშაობს. მას ერთ დღეს დაავალეს საბჭოთა მეურნეობიდან წაეღო და მარნეულის მეურეროდუქტების ბაზაში ჩაებარებინა 2800 კილოგრამი ხორცალი. ოსკანოვი ისეთი კაცი არ გახლავთ, დაკალება პირნათლად შესრულოს. მან სახელმწიფო ბეღელში ჩაბარების ნაცვლად პურის მარცვლით დატვირთული მანქანა საკუთარ ეზოში შეაგრიალა და გადმოტვირთა. სახელმწიფო ხორცლის დატაცებას ოსკანოვს არ ამტკიცებენ.

სართიჭალის კომპლექსურ საბჭოთა მეურნეობაში ყარაულად მოეწყო ა. ოთარაშვილი. მას სულაც არ შეუტკივა გული მინდობილი საქმის შესრულებისათვის. იგი ფიზიკურად მხოლოდ იმას უთვალთვალებდა, როდის მიწყნარდებოდა მიდამო, ხომ არაინ შემორჩა მინდორშიო და მერე გიყვარდეს, ეზიდებოდა შინა